პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 151 (20501) — ოთხშაბათი, 12 ივლისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

შეხვედრები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან

გულახ�ილობა და გულწრფელობა, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციით ღრმა დაინტერესების ატმოსფეროში მიმდინარეობს ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა შეხვედრები რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატებთან.

10 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ოთარ ჩერქეზია შეხვდა და ესაუბრა თბილისში მცხოვრებ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფს. იგი მათ ესაუბრა დიდ და პასუხსაგებ ამოცანებზე, რომლებიც საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების, რესპუბლიკის მთელი სადეპუტატო კორპუსის წინაშე დგას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებების მიხედვით. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყნის უმაღლეს დეპუტატთა ფორუმზე გამოთქმული ყველა ნოვატორული იდეა, კონსტრუქციული წინადადებანი უნდა განზოგადდეს და აქტიურად იქნეს გამოყენებული რესპუბლიკის საბჭოთა ორგანოების მუშაობაში, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობისათვის მზადებაში.

ო. ჩერქეზია დეპუტატებს დაწვრილებით ესაუბრა ახლახან გამართული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომების, აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და ქვემო ქართლის ზოგიერთ რაიონში შექმნილი ვითარების, მესხ-თურქთა პრობლემის მიმართ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიციის, სვანეთის და მთიან აჭარაში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა ჩამოსახლების მიმდინარეობის შესახებ, რესპუბლიკისა და ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა აქტიურ საკითხებზე.

საგნობრივი, საფუძვლიანი სკამბასი გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 20 ივნისის დადგენილების შესაბამისად შექმნილი იმ საკითხების შემსწავლელი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით მწვავედ აწუხებს რესპუბლიკის საზოგადოებრიობას. კერძოდ, ითქვა, რომ მუშაობას უკვე შეუდგნენ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წელს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა, რესპუბლიკაში ინიციაციული პროცესების შემსწავლელი და შესაბამისი წინადადებების შემმუშავებელი აქტორატენი კომისიები. აქტიურად მუშაობს კომისია, რომელმაც უნდა მოამზადოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტები. მუშაობას იწყებენ საკონსტიტუციო კომისიასთან შექმნილი სამუშაო ჯგუფები: საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის განხორციელების, საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსის შემოღების შემმუშავებელი, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონთა მოქმედების პირობების შემმუშავებელი, ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენისა და რესპუბლიკის წვევამდელთა მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე მოხდის საკითხების შემმუშავებელი კომისიები.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ კომისიებმა და სამუშაო ჯგუფებმა დიდი და სერიოზული მუშაობა უნდა გასწიონ სრულყოფილი დოკუმენტების შესაქმნელად, სანამ ძალ საყოველთაო განხილვისათვის საზოგადოებრიობას წარუდგენენ, შემდეგ კი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად შეიტანენ. განმარტეს, რომ მომავალი დიდი მუშაობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად არის მიჩნეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია მოიწვიონ არა უგვიანეს ამა წლის სექტემბრისა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ და საუბარში აღძრულ ცალკეულ საკითხებზე თავიანთი თვალსაზრისი გამოთქვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ვლადიმერ პატეიშვილმა, ნოდარ ჯანბერიძემ, ბელა მაყაშვილმა, ანასეულ კახიძემ, თეიმურაზ ჩხეიძემ, გრიგოლ ლორთქიფანიძემ, თენგიზ უჩანეიშვილმა, გიორგი ლებანიძემ, გიორგი ჯავახიშვილმა, ლონგინოზ ზაქაიძემ, ანზორ ბურჯანაძემ, ბორის ბარსუკოვმა, ლეო ხაბურზანიამ და სხვებმა. ყველა ორატორმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ შეხვედრებს. ითქვა, რომ ესოდენ გულახდილი საუბრები და დიალოგები რეგულარული უნდა გახდეს, ეს დეპუტატებს შესაძლებლობას მისცემს დღეიადაგ იყვნენ მოლელენის კუსში, ქალაქის, რესპუბლიკის, ქვეყნის მაჯისცემას გრძნობდნენ, აქტიურ გავლენას ახდენდნენ საქმის ვითარებაზე საზოგადოების გარდაქმნისა და განახლების დროს.

ანალოგიური ზონალური შეხვედრები დეპუტატებთან უკვე გამართეს გორში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ თამარ კობულოვამ, ქუთაისსა და სენაკში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ვახტანგ კვარაცხელიამ.

დეპუტატებთან რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა შეხვედრები გრძელდება.

(საქინფორმი).

სრულვყოთ ურთიერთობის სტილი

11 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე შეხვდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნებსა და ჯ. თბილისის რაიკომების პირველ მდივნებს. შეხვედრის ყურადღების ცენტრში იყო მომწყობელი პრობლემები, რომლებიც დადაკალაქის პარტიულ აქტივსა და საზოგადოებრიობას აწუხებს. აღინიშნა, რომ გარდაქმნის დროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში იქმნება უსტანდარტო, უჩვეულო სიტუაცია, რომელიც მოითხოვს პარტიული საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების ორსებითს განახლებას, კერძოდ, კონსტრუქციულ წინადადებათა შემუშავებას ეროვნული განვითარების კონცეფციის ფორმირების შესახებ, ზუსტი პოზიციის განსაზღვრას ყველა პრინციპულ საკითხზე, საზოგადოებრივი ინტერესებიდან, დემოკრატიზაციისა და სიჯარიანობის შემდგომი გაფართოების ამოცანებიდან გამომდინარე.

შეხვედრის მონაწილეებმა თქვეს, თუ როგორ ვითარდება ადგილზე პარტიული ორგანოების დიალოგი შრომითს კოლექტივებთან, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და თვალსაჩინო პრობლემებს აყენებენ ურთიერთობის პროცესში და რა მხარდაჭერა მოეთხოვებათ რესპუბლიკურ ორგანოებს მათი გადაჭრისათვის. შეეხნენ ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, შრომითი საქმიანობის ეფექტიანი ორგანიზაციის, მოსახლეობის სოციალური და სულიერი მოთხოვნების უფრო სრული დაკმაყოფილების მწვავე საკითხებს, აღნიშნეს, რომ დღეს სწორედ ეს განაპირობებს პარტიისა და ყველა პარტიული ორგანიზაციის აქტორიტეტს ზრდას.

გამოითქვა სურვილი, დაიხვეწოს მუშაობა პარტიული აქტივისა და მოსახლეობის ინფორმირებისათვის უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე, მათ შორის რესპუბლიკური და საქალაქო პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მხრივ.

საერთოდ ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიული ორგანოების საქმიანობის სტილის სრულყოფა უნდა ემსახურებოდეს იმ მიზანს, რომ ისინი უფრო სრულად აკმაყოფილებდნენ საზოგადოებრივ მოთხოვნებს ცხოვრების ყველა სფეროში, კი არ აბრკოლებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინიციატივის გაფართოებას, არამედ, პირიქით, ხელს უწყობდნენ მის განვითარებასა და გადაყვანას შემოქმედების, ადმშენებლობის კალაპოტში, ყოველნაირად ახალისებდნენ და უჭერდნენ მხარს სასარგებლო თაოსნობებს.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

ვოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, 10 ივლისს მუშაობა განაგრძო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ.

პალატების გაერთიანებულ სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის **მ. ს. გორბაჩოვის** თავმჯდომარეობით გაგრძელდა წინა სხდომაზე საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის მიერ შემოტანილი სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის კანდიდატურების საკითხის განხილვა.

ხმების უმრავლესობით, განუხილველად, სესიამ კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრებად დაამტკიცა **გ. პ. სმირნოვი** და **ი. ნ. შადრინი.**

სესიამ მოუსმინა სსრ კავშირის პროკურატურაში ხელმძღვანელ პოსტებზე პრეტენდენტებს **ა. ნ. შკრებეცსა** და **ი. ა. ხიტრინს.** კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ ისინი დამტკიცეს საბჭოთა კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრებად.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ განაახლა სსრ კავშირის მინისტრებისა და სახელმწიფო კომიტეტების ხელმძღვანელების კანდიდატურათა განხილვა.

შემოაქვთ წინადადება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნონ **ვ. ვ. ბაკატინი.**

დამნიშვნეობის ზრდის ტემპი ქვეყანაში კვლავ დიდია, თქვა მან. უახლოეს მომავალში მისი შეცვლების იმედი არ უნდა ვიქონიოთ. ორატორმა დაწვრილებით დაახასიათა ასეთ მძიმე კრიმინოგენულ სიტუაციაში საზოგადოების ჩაყენების მიზეზები.

შემდეგ მან დეპუტატებს აცნობა, თუ რა მიმართულებით მუშავდება დამნიშვნეობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა. მწვავედ დგას, კერძოდ, რესურსების საკითხი. საჭიროა დაუყოვნებლივ გაიზარდოს სისხლის სამართლის — იუსტიციისათვის ხარჯები. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებლობა მოგვეცემა გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი და ტექნიკური აღჭურვილობა. ეკონომია ამ სფეროში მეტად ძვირად გვიჯდება.

ამავე დროს, თქვა მინისტრობის კანდიდატმა, უფრო სწრაფად უნდა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი თვით შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში. გარდაქმნა აქ დაიწყო, მაგრამ ძნელად მიმდინარეობს. უპირველეს ამოცანათა შორის დაასახელეს, მაგალითად, ბრძოლა მოჩვენებითობის, პროცენტომანიის წინააღმდეგ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მართვის დეცენტრალიზაციას, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის დაძლევას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა საკადრო საკითხებს. უფრო აქტიურად მიმდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების გაწმენდა კორუფციისაგან, მუშაობა პროგრესული მომზადების ამაღლება. ორატორი დაწვრილებით შეეხო სამართალდაცვითი ორგანოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვის პროგრამას.

საზოგადოების დაცვის საიმედოობის გასაზრდელად გვეპირდება შესაბამისი ზუსტი სამართლებრივი მექანიზმი, თქვა მან. დამნიშვნეობის დაძლევა შეიძლება მხოლოდ კანონის საიმედო საფუძველზე.

პრეზიდენტმა უპასუხა მრავალ კითხვას.

ვ. ვ. ბაკატინის კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ა. ა. ლუბანოვი, ა. ვ. ფურფასელოვი, ვ. ი. ხაბარინი, კ. კ. ფოკა, ა. ა. შჩელკანოვი.**

უმაღლესმა საბჭომ ხმების უმრავლესობით ვ. ვ. ბაკატინი დანიშნა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრად. სსრ კავშირის ჯანდაცვის მინისტრის თანამდებობაზე რეკომენდაცია ეძლევა **ე. ი. ჩაზოვს.** პრეტენდენტმა ჩამოაყალიბა პროგრამა, თუ როგორ ესახება საბჭოთა ჯანდაცვის გამოყენა უმძიმესი კრიზისიდან, რომელშიც იგი ჩაადგა „რაც მორჩებას“ პრინციპზე დამყარებულმა დამოკიდებულებამ და დაგვიგვამ. მან აღნიშნა, რომ ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს დარგის დაფინანსება, დაგეგმვა და მართვა.

დიდი ხნის მანძილზე აფინანსებდნენ არა ჯანმრთელობის დაცვას, არამედ „მთლიან მაჩვენებელს“. ფული გაიცემოდა პოლიკლინიკებში პაციენტთა მისვლისა და დადგმული საწოლების რიცხვის მიხედვით. იქნებოდა პარადოქსული სიტუაცია: ჯანდაცვის ორგანოები იმით იყვნენ დაინტერესებულნი, რომ რაც შეიძლება მეტი პაციენტი მიეღოთ სამედიცინო დაწესებულებებს. ორატორმა დაასახელა შემაშფოთებელი ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ არ გაგვიჩნია თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები, „სამკურნალოებში არ არის შექმნილი ელემენტარული პირობები, პრობლემებია აგრეთვე თვით მედიკოსთა შრომის ანაზღაურებისა და მუშაობის პირობების მხრივ.

მინისტრობის კანდიდატმა დამსწრეთ გააცნო თავისი თვალსაზრისი; თუ როგორ დააღწიონ თავი რთულ მდგომარეობას, რომელშიც ჩვენი ჯანდაცვა აღმოჩნდა. კერძოდ, საჭიროა სახსრების გამოყოფის ახალი პრინციპები, მედიკოსთა შრომის ბარისხის სხვაგვარი შეფასება, გადასვლა სამედიცინო დაზმარების ორგანიზაციის ახალ ფორმებზე. საჭიროა შემოვიღოთ სახელმწიფო საავადმყოფო დაზღვევა. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პროფილაქტიკის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშემწყობი პირობების შექმნას. ხალხის ჯანმრთელობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ეკოლოგიურ ვითარებასა და სურსათ-სანოვაგის ხარისხზე. უნდა გვქონდეს სასურსათო პროდუქტების კანონმდებლობა, რომელიც სანიტარიულ სამსახურებს მიანიჭებდა ყველა შესაძლებლობას ამ დარგში ქმედითი კონტროლისათვის.

უპასუხა რა დეპუტატთა მრავალ შეკითხვას, პრეტენდენტმა დაასახელა დარგის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებანი, მათ შორის, უფროდღეების გაძლიერება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის, თანამედროვე მოწყობილობითა და წამლებით უზრუნველყოფისადმი.

განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ნ. ვ. ამოსოვი, ლ. ტ. ვიაუნოვი, ვ. ი. სერუხა, ე. ნ. ზუბალკინი, ხ. ა. ბილიტენკო, ვ. ი. ბელოვი** და სხვები. მათ კრიტიკულად გააანალიზეს ჯანდაცვის მდგომარეობა და აღნიშნეს, რომ ჯანმრთელობის დაცვა მთელი საზოგადოების საქმეა. ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებული სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაზე.

ხმის უმრავლესობით ე. ი. ჩაზოვი დამტკიცეს სსრ კავშირის ჯანდაცვის მინისტრად.

მთელმა რიგმა დეპუტატებმა წამოაყენეს წინადადებანი და გამოთქვეს შენიშვნები სესიის მომდინარეობის, საპროცედურო საკითხების გამო. მათ, კერძოდ, აღნიშნეს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასს სიტყვა უნდა მიეცეს უკლებლივ ყველა ჩაწერილ დეპუტატს, ამასთან უთუოდ უნდა გამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს იმ კომიტეტების წარმომადგენლები, რომლებმაც განიხილეს დასამტკიცებლად წარდგენილი კანდიდატურა, უნდა განისაზღვროს კანონთა განხილვის პრიორიტეტული ბა. აღინიშნა აგრეთვე მთელი რიგი სხვა პრობლემები.

ამასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ თქვა, რომ უმაღლესი საბჭო იღებს დეპეშებს, რომელთა ავტორები უკმაყოფილებას გამოთქვამენ მთავრობის ფორმირების პროცედურის გაჭიანურების გამო. ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას, რომელიც უმაღლეს საბჭოს აკისრია, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა. ჩვენ პირველად ვცდით საკუთარ ძალებს, დაიწყო ჩვენი თვითშემეცნების პროცესი, ხალხმა დანინახა ვინ შედის მთავრობაში, ადამიანებმა გაიგონეს კანდიდატთა მოსაზრებები და მსჯელობა. მაგრამ დროს უნდა მივუფრთხილდეთ. რაც შეეხება კანონების განხილვის პრიორიტეტულობას, პალატების თავმჯდომარეებმა კომბეტებისა და კომისიების ხელმძღვანელებთან ერთად უნდა განიხილონ ეს საკითხი და მოახსენონ დეპუტატებს.

სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის მინისტრის თანამდებობაზე რეკომენდაცია ეძლევა **მ. ი. ბუსიგინს.** ხე-ტყის მრეწველობაში, თქვა მან, მრავლად დაგროვდა პრობლემები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადავჭრათ. მართალია, ზოგჯერ ერთ ადგილს ვტკივანთ, მაგრამ წინსვლა მაინც იგრძნობა. მინისტრობის კანდიდატმა დეპუტატებს გააცნო დარგის განვითარების პროგრამა. მან დაწვრილებით ილაპარაკა დარგის მრავალფეროვანი, რთული მეურნეობის მართვის სრულყოფის პრობლემებზე.

ორატორმა ამ ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად დასახელა გადასვლა საწარმოთა ორმაგ დაქვემდებარებაზე — სამინისტროსა და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისადმი. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ნაყოფიერად გამოვიყენოთ ქვეყნის ტყის სიმდიდრენი. ნავარაუდევია ტყის ჭრის შემცირება და ამასთანავე ნედლეულის უფრო ღრმა გადამუშავება. ადგილობრივი საბჭოების მონაწილეობით დაჩქარდება მწვანე მასივების აღდგენა. სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს სავალუტო თვითანაზღაურებაზე გადასვლა სამუალებას მოგვცემს უფრო მალე გადავიდეთ ინტენსიურ უნარჩენო ტექნოლოგიაზე.

მინისტრობის კანდიდატმა თავის გამოსვლაში განიხილა დარგის განვითარების სოციალური ასპექტები. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა ადგილი უჭირავს ეკოლოგიურ ობიექტებს — ეროვნული ობიექტებს, ბუნებრივ ძეგლებს, ბაღებს, ტბებს მოუწესრიგებელ, ველურად უბრალოდ დიდია მოთხოვნილება საცხოვრებელ ბინებზე, საბავშვო ბაღებზე, სკოლებზე, სამედიცინო დაწესებულებებზე. ამოცანის გადაწყვეტას ართულებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სიძნელენი.

უპასუხა რა დეპუტატთა კითხვებს, ორატორმა დაწვრილებით გააცნო მათ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდის დარგობრივი პროგრამა, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ მთელი რიგი პოზიციების მიხედვით დეფიციტი მომავალი ხუთწლედის შუა ხანებში აღმოიფხვრება. დიდი ყურადღება დაეთმო ეკოლოგიის პრობლემებს, რომელსაც მ. ი. ბუსიგინმა სამინისტროს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უწოდა. მან ილაპარაკა აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ წარმოებს მთელ რიგ საწარმოთა პროფილის შეცვლა ეკოლოგიურად ხალასი პროდუქციის გამოსაშვებად.

მ. ი. ბუსიგინის კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ნ. ი. დიაკოვი, ვ. ვ. ანტასანიანი, ვ. ხ. იაკუტინი, ხ. ვ. იგნატოვი, ხ. ვ. პილნიკოვი, ვ. ვ. ვოლოდიჩევი, ი. ვ. ნეიოლოვი, ნ. ნ. დანილიუკი.** მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მინისტრობის კანდიდატის პასუხი არ აკმაყოფილებს უმაღლეს საბჭოს. ბევრი პრეტენზია გამოითქვა დარგის ხელმძღვანელობის მუშაობის მიმართაც.

ხმის უმრავლესობით მ. ი. ბუსიგინის კანდიდატურა უარყვეს.

სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მინისტრის თანამდებობაზე დასამტკიცებლად რეკომენდაცია ეძლევა **ა. ი. მიხალჩენკოს.**

ტრიბუნაზეა **ა. ი. მიხალჩენკო.** მან ილაპარაკა სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს რთულ სისტემაზე, თქვა, რომ იგი წარმოადგენს ნაირგვაროვან ორგანიზაციათა კომპლექსს, რომლებიც სამუშაოებს ასრულებენ პრაქტიკულად სახალხო მეურნეობის ყველა ობიექტზე. ბოლო დროს ისინი აქტიურად ჩაებნენ ქვეყნის სოციალური პროგრამის რეალიზაციაში. სამინისტროს საწარმოები აშენებენ სატელევიზიო კოშკების ტიპის მაღლივ ნაგებობებს, შახტის ჭიურებს, სხვადასხვა შენობებს, აწყდიან ობიექტებს დიდძალ ლითონკონსტრუქციებს. ოღონ ამოცანა როდია ისე გაიერთიანო ეს დაქსაქსული ორგანიზაციები, რომ ისინი დასახულ ამოცანებს ასრულებდნენ ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში, და მაქსიმალურად შეუწყო ხელი სამუშაოთა დამოუკიდებლობას. აქ აუცილებელია ეროვნებათთან იყოს შეხამებული საერთო-საკავშირო ამოცანები და რეგიონალური ინტერესები.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემას უკვე გაუვიდა ყოველი. ხაზი გაუსვა პრეტენდენტმა და აღნიშნა დეპუტატებს, თუ რა გაკეთდა და რა კეთდება მისი დეპარტამენტისათვის. შეორე წელია სამინისტროო სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების წესით მუშაობს. დარჩა სულ რამდენიმე ზარალიანი საწარმო, შემცირდა ცენტრალური აპარატი, დარგი აქტიურად გადადის მუშაობისა და მართვის პროგრესულ ეკონომიკურ მეთოდებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დარგში სოციალურ სფეროს. ორატორმა ილაპარაკა წარმატებებზე, და ამასთანავე დასძინა, რომ ჯერ კიდევ არ გადაჭრილა ყველა პრობლემა, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სახალხო მოხმარების საქონლის და მომსახურების წარმოებას. ეცემა მშენებლის პროფესიის პრესტიჟი. აღნიშნა რა ეს, კანდიდატმა დეპუტატებს გაუზიარა თავისი გეგმები, თუ როგორ უნდა შეჩერდეს ეს პროცესი.

მინისტრობის კანდიდატმა უპასუხა დასმულ კითხვებს. იგი განუხილველად დაამტკიცეს სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოთა მინისტრის თანამდებობაზე.

სესიაზე განხილეს ზოგიერთი მიმდინარე საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის სსრ რესპუბლიკების დეპუტატთა განცხადები, რომლებიც ითხოვენ პირველ სესიაზე განხილონ საკითხი, რომ ზაფხულის პერიოდში მაღალტემპერატურიან ზონაში შემავალ ამ რესპუბლიკების ყველა დარგის მუშაკებს დაუწესდეს კოეფიციენტი მძიმე კლიმატური პირობებისათვის.

აღინიშნა, რომ ასეთი შეკითხვები სერიოზულ შესწავლას მოითხოვს, და მთავრობას წინადადება მიეცეს განიხილოს ისინი.

სხდომა დამთავრდა.

11 ივლისს სესია განაგრძობდა მუშაობას.

(საკინფორმი).

საკვები — 89

მწვანე მასის კონვეიერი

ერთი წელია რაც ცხენვალის რაიონის არცევის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა გაერთიანდა აგროფირმა „ირისთონში“ და მეურნეობა ალმავლის გზაზეა. ეკონომიკურად მძლავრ საწარმოებთან ცხენვალის ხორცკომბინატთან და რძის ქარხანასთან გაერთიანებამ ხელი შეუწყო მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვას, სამუშაო ძალების მობილიზებას. ახლა მუშა დროულად იღებს შრომის საფასურს და ამან დარაზმა ადამიანები უკეთესი წარმატებების მოსაპოვებლად.

არცევის საბჭოთა მეურნეობამ შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის დავალება. წველადობის დავალებებიც წარმატებით სრულდება. ახლა ზეხილის ბაღები და ვენახი? ჩინებულად არის მოვლილი. ბოსტნეულ-ბოიჩეულსაც კარგი პირი უჭირს. მალე მკაც გაჩაღდება. ოქროსფრად ღელავს თავთავი. მანამდე კი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, საკვების უხვი მარაგის შექმნისათვის ზრუნავენ. მთიბავები, კომბაინები, ტრაქტორები, სატვირთო მანქანები მობილიზებულია ნათესი ბალახების ასაღებად. შეუფერხებლივ მუშაობენ აგრეგატები.

მეურნეობის ნიჭიერი ორგანიზატორი ნიკო ტურაშვილი კმაყოფილებით გვეუბნება: მრავალწლიანი ბალახების ფართობებიდან მთელი თვეა მწვანე მასა უწყვეტ ნაკადად მოდის. 2 ათასი ტონა სიერთო ტევადობის 6 სასენაჟე ორმო გვაქვს. 650 ტონიანი ორმოს თავზე უკანასკნელი სვლა გაკეთა ტრაქტორმა. საგულდაგულოდ დიტკეპნა მწვანე მასა, მერე პოლეთილენის აპკი გადაფარეს, „დაზუფეს“. ეს ბალახების ამოღებ კომბაინებზე მომუშავე კობა გიოიევის, ძმები ზაურ და მერაბ კვირიკაშვილების, ტრაქტორისტების ლეო და ოსეს კვირიკაშვილების, სლავა კოზიევის, ლევა დოგუზოვის გამჯე შრომის ნაყოფია. 50 ჰექტარზე მეტი უკვე აღებულია, ყოველ ჰექტარზე 200 ცენტნერზე მეტი რიფსი გამოდის. ეს კულტურა მეტად გამოსავლიანი და უუთანინა. მისი ჰექტარები მომავალში ორჯერ უნდა გაგზარდოთ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება პირუტყვის მაძღრისად კვება — გვითხრა დირექტორმა.

წელს 1533 ტონა სენაჟი, 609 ტონა სილოსი, 459 ტონა თივა 377 ჰექტარი მრავალწლიანი და 327 ჰექტარი ბუნებრივი სათიბებიდან უნდა დაამზადონ. ამოცანის გადაწყვეტა რეალურია, გეგმიურზე გაცილებით მეტის დამზადებას ფიქრობენ.

ჩქარობენ არცევლები, ამინდებს ეშურებიან, მაგრამ სიჩქარით საქმე არ უნდა წყნდეს — ზუსტად უნდა დაიცვან სენაჟის ჩადების ტექნოლოგია.

ბიბი თეიდეევი,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ: ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲡᲐᲙᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲐᲙᲗᲔᲑᲡ

საერთო მდგომარეობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში და, კერძოდ, მრეწველობაში კვლავ დაძაბულია. ეკონომიკის რადიკალური გარდაქმნა ძალზე რთულად მიმდინარეობს. წინსვლას აფერხებს მრავალი ობიექტური ფაქტორი, მაგრამ ჭარბობს სუბიექტური, ადვილი არ აღმოჩნდა ძველებური ბროვნების დაძლევა. დაწყებული გარდაქმნის შედეგები ცხადყოფს, რომ საქმისადმი ახლებური მიდგომისთვის მონდომების გარდა საჭიროა კომპეტენტურობა, ეკონომიკის ღრმა ცოდნა. ეს კი ძალიან ხშირად აკლია წარმოების მრავალი რგოლის ხელმძღვანელს. მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას სუსტი შრომის დისციპლინაც.

უკვე ძალას იკრებს შესამე ეკრტალი, მიმდინარე წლისათვის გადასაწყვეტი საქმიდან ბევრი პრობლემა კი დაგვიგროვდა. ეს ეხება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, უმნიშვნელოვანესი ახალი სახეობის პროდუქციის ათვისებას, სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვას, სოციალური საკითხების მოგვარებას და ა. შ.

პროდუქციის შემკვეთისათვის ყალიბებულებით მიწოდების ნახევარი წლის დაგვიანების შესრულებას რესპუბლიკის მრეწველობაში ერთი პროცენტი დააკლდა. ეს თითქოს საგანგაშო მაჩვენებელი არ უნდა იყოს, მაგრამ — მხოლოდ ერთი შეხედვით, სინამდვილეში ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელმა ვერ მიიღო 50.810 ათასი მანეთის ნაწარმი. ყველაზე დასანანი ის არის, რომ წინსვლა არ იგრძნობა. შარშან შესაბამის პერიოდში შემკვეთს საგრძნობლად ნაკლები — 30127 ათასი მანეთის პროდუქცია დავაკელეთ. ვერ გაიგზავნა დანიშნულების ადგილებზე გათვალისწინებული რაოდენობის. სატვირთო ავტომობილები, მათი მისაბმელები და ნახევრად მისაბმელები, ლითონსაჭრელი ჩარხები, ავტომატიზაციისმექანიზაციისათვის საჭირო მცირე სიმძლავრის ცვლადები დენის ელექტროძრავები, ინსტრუმენტები, მილიონობით მანეთის მანგანუმი, ქვანახშირი, ასაოთა'ობით მანეთის ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ბამბის ქსოვილი, ტრიკოტაჟი, ღვინო, ჩაი, მინერალური წყალი და ვინ მოთვლის, კიდევ რა.

ძალიან ბევრი ჩამორჩენილი საწარმოა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში. ვერ ასწორებენ მდგომარეობას ქუთაისის ბამბის საქსოვი საწარმოო გაერთიანება, კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა, მაუდის ფაბრიკა, თბილისის „გლდანისა“ და „ისნის“ საწარმოო გაერთიანებები, თბილისის რეზინტექნიკური და ქიმიური ნაწარმის ქარხანა, მრავალი სხვა საწარმო, ყველა მათგანის ერთ საგანგაშო წერილში ჩამოთვლა შეუძლებელია.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ეკონომიკური რეფორმის მიერ მინიჭებული ერთგვარი დამოუკიდებლობა ზოგიერთმა გაერთიანებისა და საწარმოს ხელმძღვანელმა გეგმების შესაფერებლად გამოიყენა. იმის მაგივრად, რომ გამოიჩინონ ინიციატივა, საზრიანობა, მოკნილობა, დაეხმარონ რესპუბლიკის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, შესაბამის სამინისტროებში დაგალებების კორეტირებას ახერხებენ. აბა, რით უნდა აიხსნის ის ფაქტი, რომ წლის პირველ ნ

შრომითრთხელსაჭრელი თანამშრომლობა

ბოლოდ მესამე წელია, რაც თელავის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი მეურნეობრიობის ახალი მეთოდით მუშაობს, მაგრამ შედეგი უკვე თვალსაჩინოა: სისტემატურად სრულდება საწარმო გეგმები, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, შესაბამისად იკლო რეკლამაციებმა, მნიშვნელოვნად შემცირდა საბრუნავი საშუალებების ზენორმატიული ნაშთი, რომელიც ძირითადად ნადლეულზე მოდის, მზა ნაწარმის ნაშთი კი ნორმატიულზე ნაკლებია.

ეს სასიკეთო ცვლილებები მუდმივი ძიების და სიახლეთა დანერგვის შედეგია. ბოლო ორი წლის მანძილზე შეიცვალა მანქანა-დანადგარების 60 პროცენტი, შემუშავდა ახალი მოდელები, მოეწყო ატელიეები. მუშები გადავიდნენ ახალ სატარიფო განაკვეთებზე. ყოველივე ამას წინ უძღოდა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები, ტექნიკური ღონისძიებანი, რომელთა საბოლოო მიზანი შრომის ნაყოფიერების ზრდა, შრომატევადობის და მომუშავეთა რაოდენობის შემცირება იყო. ნორმირებული დავალებები მოემატათ მზა პროდუქციის წუნმდებლებს, მტვირთავებს, ელექტრომონტიორებს. ყოველივე ამის შედეგად გამოთავისუფლდა 23 კაცი, რომელთაგან ბევრი კვლავ ფაბრიკაში დასაქმდა.

• შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი ფორმების დანერგვის შედეგად შრომის ნაყოფიერება პირველსავე წელს 12 პროცენტით გაიზარდა. რაც მთავარია, დამყარდა სწორი თანაფარდობა შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპების შორის. შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასაყვანად საწარმომ ხელფასის ფონდში თვითონ გამონახა რეზერვები. ხელფასი მოემატთ ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს 30, მუშებს 20 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივი ყდილობს ტექნოლოგიურ და ტექნიკურ სიახლეთა დანერგვით დაამკვიდროს წარმოების ეფექტიანობის მუდმივი ზრდის ტენდენცია. მესამე სამკერვალო საამქროს ერთ აგრეგატზე დაინერგა გოგონას სასკოლო ფორმის წინასაფრის კერვის კომპლექსურ-მექანიზებული პროცესი, რის შედეგად ამ პროდუქციის წარმოების ნორმა ერთიორად გაიზარდა, წლეულმა ეკონომიამ კი 29 ათასი მანეთი შეადგინა.

საწარმოს ხელმძღვანელობამ, გამოიყენა რა სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონით მინიჭებული უფლებები, დამოუკიდებლად დაამყარა კონტაქტი მომხმარებელთან, რომელსაც 1987-1988 წლებში მიჰყიდა მისთვის გამოუსადეგარი 1 მილიონ 144 ათასი მანეთის მანქანა-დანადგარები და ნედლეული.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოსათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბაზრის ცვალებად კონიუნქტურაზე დროული რეაგირება. პროდუქციის გასაღების უპირველესი პირობაა მისი ხარისხი და მოდურობა. საწარმოში გასული ორი წლის მანძილზე 14 მოდელი გამოუშვეს სიახლის ნიშნით. მომხმარებლებს მოსწონთ საბავშვო ბეწვის ქურთუკები. ამ სიახლით ფაბრიკამ 300 ათასი მანეთი მოიგო.

ყოველივე ამის შედეგად კი მისი მოგება 1986 წელთან შედარებით 1987 წელს ორჯერ, ხოლო 1988 წელს ოთხჯერ გაიზარდა. შესაბამისად გაიზარდა მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული, წარმოების, მეცნიერების და ტექნიკის განვითარების და სხვა ფონდები.

ასე რომ, ამ ბოლო ორი წლის წინსვლა საგრძნობია, მაგრამ კოლექტივს კიდევ დიდი მუშაობა მართებს ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის გზაზე. როგორც ითქვა, ჯერ კიდევ დიდია ნედლეულის ზენორმატიული ნაშთი, დაბალია მცირე მექანიზაციის დონე, რეკლამაციებიც არ არის საბოლოოდ აღმოფხვრილი. საამისოდ ბევრი რამ კეთდება. ამის დასტურია ის შედეგიც, რომელსაც ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წლის განვლილ ოთხ თვეში მიაღწია. საგეგმო 6.070 ათასის ნაცვლად გამოშვებულია 6.946 მანეთის ნაწარმი, რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 111, ხოლო მოწოდებისა — 100 პროცენტით.

ყოველივე ამან ფაბრიკის კოლექტივს საშუალება მისცა გარკვეული დახმარება გაუწიოს რაიონის ერთ-ერთ ეკონომიკურად სუსტ, თეთრწყლების საბჭოთა მეურნეობას. ხელშეკრულება, რომელიც ამ დღეებში დაიდო საწარმოსა და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებას შორის, მრავალ ურთიერთვალდებულებას ითვალისწინებს. მათი განხორციელება სიკეთეს მოუტანს როგორც მეურნეობის, ისე ფაბრიკის მშრომელებს.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მარტის პლენუმზე ითქვა, კონკრეტულად უნდა მივუდგეთ ყოველ სუსტ მეურნეობას. ხელშეკრულებით ფაბრიკის კოლექტივი მოიჯარის ფუნქციებს კისრულობს. უპირველეს ყოვლისა მეურნეობას, რომელიც დამოუკიდებელ ბალანსზე რჩება, გაეწევა ფინანსური დახმარება, მიეცემა სესხი, რომელიც შემდეგ ფაბრიკას უნდა დაუბრუნდეს. სოფლის მოსახლეობის საყოველთაო დასაქმების მიზნით გაიხსნება ფაბრიკის ფილიალი. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიექცევა თეთრწყლების და მის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა-ამოქმედებას. თავის მხრივ მეურნეობა საწარმოს მიაწვდის ხორცს, რძეს, მეცხოველეობის სხვა პროდუქტებს. ყოველივე ეს საერთო ძალისხმევას მოითხოვს. მართალია, კონკრეტულ შედეგებზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ ის, რომ სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი მეურნეობრიობის ახალ პირობებში აუმჯობესებს ფინანსურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, საშუალებას გვაძლევს ვთქვათ: საწარმო სოფლის წინაშე ნაკისრ ვალდებულებასაც წარმატებით გაართმევს თავს.

ზურაბ არსენიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სოფელი: დღის საზრუნავი



262 ჰექტარზე მოჰყავთ ყურძენი მარტვილის რაიონის ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, აქედან 1500 ჰექტარი ოჯალეშს უკავია, დანარჩენ ფართობზე ცოლკაურია გაშენებული. ზრუნავენ მევენახენი მოსავლისათვის: ვენახებში გულდასმით მიმდინარეობს სამუშაოთა კომპლექსი, მექანიზატორებმა დაიწყეს ვაზის მეოთხე მკურნალობა.

წლეულს ბანძელი მევენახენი აპირებენ სახელმწიფოსათვის 883 ტონა საუკეთესო ყურძნის მიყიდვას.

სურათებზე: საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი დემურ ჯელია, დირექტორი ოლეგ ჯიქია და მექანიზატორი შერმადინ ანჯაფარიძე ამოწმებენ ვაზის მდგომარეობას დამუშავების შემდეგ; ვენახების შეწამვლა ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

საქინფორმის ფოტო.

მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია— მსოფლიო დონეზე

მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის მეცნიერებისა და პრაქტიკის მდგომარეობა განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ მეორე სხდომაზე მანქანათმშენებელ ტექნოლოგთა პირველი საკავშირო ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტმა. ყრილობა თბილისში მოეწყობა მიმდინარე წლის ნოემბერში.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მანქანათმშენებლობის ბიუროს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. თ. კამენეცმა.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. ვ. ქვილითაია.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში მანქანათსაშენებელი კომპლექსის წარმატებით ფუნქციონირებას სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ტექნოლოგიის განვითარების დონე გადამწყვეტი გახდა მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევაში. ამ ბოლო დროს აქტუალურ პრობლემებს, რომლებსაც მანქანათმშენებელი ტექნოლოგები წყვეტენ, დეიმატა ეკოლოგიის საკითხებიც. დღეს ყველასთვის ცხადია: გარემოს დაცვაში რაიმე არსებითს ძვრებს რომ მივაღწიოთ, უნდა შეიქმნას უნარჩენო ტექნოლოგიები, ავაგოთ მძლავრი საწმენდი ნაგებობანი და აგრეგატები.

რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობის პროდუქციას 300-მდე საწარმო ამზადებს, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებულია კონკურენციის უნარს არა მარტო საერთაშორისო, არამედ საშინაო, საკავშირო ბაზარზეც. ეს დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნის მეტი წილი რესპუბლიკებისთვის, აღნიშნეს სხდომის მონაწილეებმა.

(საქინფორმი).

მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ობის გულისყური ამჟამად მიპყრობილია ქვემო ქართლისაკენ. იქ შექმნილი არაორდინარული სიტუაცია დასაგმობიც არის და დამფიქრებელიც. წესრიგს ახლა ქალაქ მარნეულში, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის რაიონებში მოქალაქეთა ჯგუფებთან ერთად მილიცია და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარის ნაწილები იცავენ. ცხოვრება თანდათანობით ჩვეულ კალაპოტში დგება. ამაში 8-9 ივლისის დღეებმა დაგვარწმუნა.

დადგება ზოგიერთის სრულყოფილად შეფასების დროც, ყველა საკითხს თავისი სახელი დაერქმევა, პროვოკაციის ორგანიზატორები და წამქეზებლები, ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, თავისას მიიღებენ, მაგრამ ამ, ახლა მთავარია რაციონალურად გამოვიყენოთ ყოველი დღე, ავანაზღაუროთ დანაკლისი. რა კეთდება ამ მხრივ რეგიონში?

მარნეულში ახლა ყველა სამრეწველო საწარმოში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე მუშაობის მწყობრი, ნორმალური რიტმია, გრაფიკიდან ჩამორჩენა პირნათლად დაძლია ქალაქის ერთერთმა მსხვილმა საწარმომ — არამადნეული საწარმოო გაერთიანებამ. გარღვევიდან გამოსვლისათვის ამ მუშაობდნენ ზედმეტ საათებში, ნაწილობრივ გასულ შაბათკვირასაც იმუშავეს და ყოველდღიურად გამოუშვეს გეგმით გათვალისწინებულზე ბევრად მეტი პროდუქცია. ინერტული მასალები აქედან ახლა შეუფერხებლივ იგზავნება რესპუბლიკის მშენებლობებზე. ჩვენი მრავალეროვანი კოლექტივი, სადაც ერთმანეთის გვერდით იღგწიან ქართველები, რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, ოსები... მომავალში არ დაუშვებენ ეროვნებათაშორის შუღლს, თავდადებით იშრომებენ მიცემულ დავალებათა პირნათლად შესასრულებლად,—განაცხადა გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ვიტალი დიდიძემ.

ცეკავშირის მარნეულის სასურსათო კომბინატის ალაყაფის კარებთან კი შეუფერხებლივ მოდიან მინდვრებისა და პლანტაციების ნობათით დატვირთული ავტომანქანები, ახლა ბოსტნეულისა და პამიდვრის გადამუშავების სეზონია, ყოველი დღე ძვირად ფასობს. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში კი ვიტამინოვანი პროდუქცია საკმაოდ დაზავდა. ყოველდღიურად საწარმო ათობით ტონა პამიდორს იღებს. მზადდება ტომატი, პასტა, მარინადები, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ცხოვრება თანდათანობით დგება ნორმალურ კალაპოტში, — ამბობს პარტიის მარნეულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნოდარ კომახიძე. ზოგიერთი საწარმო თავისი ინიციატივით გადადის რამდენიმე ცვლიან მუშაობაზე გამჭოლი გრაფიკით. ეს მოგვცემს საშუალებას მალე ავინაზღაუროთ დანაკლისი, შევასრულოთ სახელშეკრულები დავალება. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დავასაქმოთ მეტი ადამიანი.

პროდუქციის გამოშვებას ზრდიან აგრეთვე სამშენებლო ინდუსტრიის, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები. მონდომებით შრომობენ ქალაქის ახალმშენებლობებზე, განსაკუთრებით კი მანქანათმშენებელი ქარხნის მშენებლობაზე, სადაც დამატებით მიღებულია მუშახელი. წესრიგი მყარდება ავტოსატრანსპორტო საწარმოებში. მძღოლები, რომლებიც ავტომანქანებით მონაწილეობდნენ აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობის უსანქციო მატინგსა და დემონსტრაციაში, დაუბრუნდნენ შრომით კოლექტივს, სადაც გმობენ მათ მოქმედებას. სამართალდამცავი ორგანოები მათ საქმეს იძიებენ და დამნაშავეები დაისჯებიან კანონის შესაბამისად.

მოქმედებს სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ყველა ობიექტი. დედაქალაქიდან და სხვა ქალაქებიდან სავაჭრო ქსელში შემოდის პროდუქტები და სამრეწველო საქონელი. მოსახლეობა ამ მხრივ უკმაყოფილო როდია. ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში იბადება ახალი თაოსნობები. ქალაქის საფეთიაქო გაერთიანების მცირე, მაგრამ მრავალეროვანმა კოლექტივმა მამუკა გორგოძის ხელმძღვანელობით ათასათასი მანეთი საკუთარი დანაზოგი თანხა გადარიცხა 9 აპრილს და აჭარაში დატრიალებული ტრაგედიის ფონდში.

მარნეულიდან წამოწყებულმა პროვოკაციულმა აქციებმა დიდი არეულობა შეიტანა ბოლნისის რაიონში, — გვითხრა პარტიის ბოლნისის რაკომის პირველმა მდივანმა შუქრი დევნოზაშვილმა. რამდენიმე დღეა ფაბრიკაში შრომითი რიტმი აღდგა. მართალია ჯერ ყველა არ გამოდის სამუშაოდ, მაგრამ უმრავლესობა დადგა დაზგებთან.

— ჩვენი ფაბრიკა დარგში ერთ-ერთი მოწინავე იყო,—ამბობს მისი დირექტორი ავთანდილ კვარაცხელია,—მოცდენის გამო კი 150 ათასი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი და თეთრეული დავაკელით ქვეყანას. ამასთანავე ფაბრიკა სამეურნეო ანგარიშზეა, როგორც ვიშრომებთ, ისე ავგინაზღაურდება, მუქთად არავინ არაფერს მოგვცემს. საჭიროა როგორმე გამოვასწოროთ მდგომარეობა. კოლექტივს შეგნებული აქვს, თუ რაოდენ რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. ყველა ცდილობს იშრომოს მეტი თავდადებით. მკერავები ახლა ერთნაზვავრ-ორჯერ აჭარბებენ გამომუშავების ნორმებს. ამასთანავე ფაბრიკის მთელი კოლექტივი ვაწარმოებთ მოლაპარაკებას აზერბაიჯანელი ეროვნების მუშებთან, რათა ისინი, მალე დაუბრუნდნენ შობლიურ სანორმოს, მათ აქ არავინ არ ერჩით, როგორც მათ ზოგიერთი ეგმქეზებელი ატყუებთ, ქართველი ხალხი არასდროს არ ეწყინდა. ადამიანურ ურთიერთობის ეროვნებაა მარტივი — ურთიერთობის გამშვების საფუძველზე. ამას მოთხოვენ ადგილობრივი ადმინისტრაციაც. ოცდალი დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მეწვევა. 10 ივლისს უკვე ახალი ჯგუფები შემოემატნენ ფაბრიკას.

საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს განახლების მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობას. განგაშის დღეებში აქ დღეში საშუალოდ 15-20 ტონა კარტოფილს მაინც იღებდნენ და გზავნიდნენ. შარშან კი დღეში ჩვეულებრივად 80-90 ტონას იღებდნენ. ორშაბათს, 10 აპრილს კარტოფილის ამოღების ტემპი მნიშვნელოვნად ამაღლდა, მაგრამ შარშანდელი დონე ჯერ კიდევ შორსაა. მეურნეობის დირექტორმა ზურაბ კოპალიანმა გვითხრა, რომ კარდაკარ დაიარეს თითოეული ოჯახი, ყველა დაარწმუნეს, რომ მათ არავინ ერჩით, საჭიროა იმუშაონ.

ზღვომარეობა თანდათანობით სწორდება დმანისის რაიონშიც, მშრომელები გმობენ მომხდარ აქციას, თვლიან, რომ იგი განხორციელეს ერთმა მუჭა არაკეთილსინდისიერმა ადამიანებმა, რომლებიც ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ ეროვნებათშორის ურთიერთობას. ეს არ მოხდება. ჩვენი ხალხი, მათ შორის ქართველები და აზერბაიჯანელები, კვლავაც ძმურად იცხოვრებენ, — თქვა გომარეთის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის დირექტორმა ვასილ ჭალიძემ.

სადღა აქა-იქ მაინც კვლავ ვრცელდება საწინააღმდეგო ხმები, უსაფუძვლო ჭორები. აზერბაიჯანელებს ამნიშნებენ: ქართველები დიდ ჯგუფებად მოდიან თქვენზე თავდასასხმელადო. ამას სწორედ ექსტრემისტები და ხულიგნები ჩადიან. ზოგი მათგანის შესახებ ცნობილია, რას ვუსვამთ თავზე ხელს, რატომ არ მოვაცილებთ მათ საზოგადოებას? ისე კი ორგანიზაციული ღონისძიებები ტარდება. ადგილებზე ადამიანებთან იმართება დიალოგი, მაგრამ მაინც არიან „ურწმუნო თომები“. ქალაქისა და რაიონების მცხოვრებლებს ეცნობათ აგრეთვე უწესრიგობის წინააღმდეგ მებრძოლი შტაბის ტელეფონების ნომრები და დაუყოვნებლივ შეუძლიათ მიმართონ მათ. თუმცა ყბედები მაინც არ ცხრებიან, ამ ტელეფონებიდანაც ხშირად გაისმის მონაჩაბული, რათა ადამიანებს სიცოცხლე მოუწამლონ.

ერთი საყურადღებო გარემოებაც. მოსახლეობის ნაწილის შიში იმაშიც ჩანს, რომ ნამეტი პროდუქტი ბაზრებში ვერ გაუტანიათ და ჯიშკრებთან აქვთ გამოტანილი. ერთ-ერთ ხანში შესულ გლეხკაცს განგებ შევეკითხეთ, როგორ ჰყიდდა პამიდორს, ატამს. მან გულხსტკივილით გვითხრა: მეწინააღმდეგ ჩემი მრომით მოწეული ჭირნახული ჩემს თვალწინ რომ ფუჭდება, მხოლოდ წაიღეთ და არა მინდა რაო. გული გვატკინა მშრომელი კაცის ამ სიტყვებმა და მყისვე გავიცალეთ იქაურობას. იქნებ დამამზადებელმა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ რამე ღონონ და აღმოაჩინონ მათ დახმარება. მხოლოდ გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს ფეხს ნუ დააჭერენ, როგორც ზოჯერ ხდება ხოლმე და ჩალის ფასად ნუ მოინდომებენ მათ ნაამაგარს.

რეგიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ენერგიული დახმარებით ყველაფერს აკეთებენ, რათა მდგომარეობა მოწესრიგდეს და ამიერიდან მსგავსი რამ აღარ განმეორდეს, ადამიანებმა იცხოვრონ და იშრომონ მშვიდად, კეთილნაყოფიერად.

დავით ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ცხოვრება კალაპოტში დგება

— 580 ჰექტარი დამუშავდა არეული და საოჯახო იჯარით. ამ პირობებში დიდია გლეხკაცის დაინტერესება საბოლოო შედეგებით. შედეგები კი სანიმუშოა, ჰექტარზე საშუალოდ 220-230 ცენტნერ კარტოფილს იღებენ. კარტოფილის ამოღების ტემპი მაღალია და კიდევ გაგზრდითო, გვითხრეს მეურნეობაში, აგტომანქანებითაც რომ გვიწყობდნენ ხელსო. აქ მართლაც კარტოფილის გადაზიდვაზე იმაზე ბევრად ნაკლები ავტომანქანა მოდის ყოველდღიურად, რაც ფაქტობრივად არის საჭირო. მეურნეობა არც ტექნიკის მარაგაწყვილებით არის უზრუნველყოფილი. აქ ერთ ელექტროშემდუღებელ აპარატს ნატრობენ და ისიც ვერ უშოვნიათ.

ტექნიკის მხრივ განსაკუთრებით უჭირს აგრეთვე არაფლოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას. აქ კარგად გარჯილან და პამიდვრისა და ხახვის მოსავალი დაუხვავებიათ. დღეს 30 ტონა პამიდორი ნოვკრიფეთ, — თქვა მეურნეობის დირექტორმა მუხმან ქარაეევმა,—მაგრამ ვშიშობთ, რომ იგი გავიტანოთ ფართობებიდან. შუადღე დიდი ხანია გადავდა და თბილისიდან ჯერ მხოლოდ 4 ავტომანქანა მოვიდა პროდუქციის წასაღებად, არადა, გვჭირდება არანაკლებ 20-25 ავტომანქანა. მეტიც თუ იქნება, უკეთესია, მაშინ დღეში 50 ტონამდე პამიდვრის მოკრეფა და გაგზავნა შეგვიძლია. ჩვენ გვიჯობს მაღაზიებში გავგზავნოთ პროდუქცია, ფასი მეტი აქვს და ეკონომიკაზე მოახდენს გავლენას. გადასამუშავებლად პამიდვრის ჩაბარება ჩვენთვის საზიანოა, ნაკლებ ფასად გვინაზღაურებენ. მეურნეობის დირექტორმა ისიც გვითხრა: თუ ტრანსპორტით შეფერხება არ გვექნება, ჩვენს მეურნეობას საშუალება აქვს დედაქალაქი მთლიანად უზრუნველყოს მწიფე პამიდვრითო. ამას რა სჯობს? ეს უნდა გაითვალისწინონ დედაქალაქელმა ხილბოსტნეულით მოვაჭრეებმა, რომლებიც მაინცდამაინც ჯერჯერობით კიდევ არ აქტიურობენ. აბა, რით შეიძლება აიხსნათ, რომ მეურნეობაში პამიდვრის სიუხვეა, თბილისისა და რუსთავის მაღაზიების დახლები კი დაცარიელებულია.

ყველგან, სადაც კი მიეიდით, გამოთქვამენ იმის შიშს, რომ ბოსტნეულისა და პამიდვრის გადაზიდვა არ შეფერხდეს. ამის საფუძველი კიდეც არსებობს. შარშან ბოსტნეულიდან დიდძალი პროდუქცია დარჩა გასაზიდი და დაფუჭდა. უკეთესი ორგანიზაცია ჯერჯერობით წელსაც არ იგრძნობა. მეურნეობები ვერც სათანადო ტარა-მასალით მარაგდებიან, მაგრამ ამის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი. შესანიშნავი აზრი გამოთქვა მარნეულის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სამეურნეო თავმჯდომარემ ზაურ გოგოლაძემ და გვთხოვა მისი პრესაში გამოქვეყნება. ამ იდეას იქნება აღსრულება უწერიაო.

— საქმე ისაა, რომ თბილისის, რუსთავის და სხვა ქალაქების დიდ საწარმოებს შესაძლებლობა აქვთ უშუალოდ დაამყაროონ კავშირი ჩვენი რაიონის მეურნეობებთან და თავიანთი ტრანსპორტით წაიღონ ბოსტნეული. ამით მუშა-მოსამსახურეებსაც დააკმაყოფილებენ პროდუქციით და საწარმოებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორისაც გაიდება მეგობრობის ხიდები. ჩვენი და მათი წარმომადგენლები ხშირად შეხვდებიან ერთმანეთს, შესაძლოა საშეფო დახმარებაც გაუწიონ. ერთი სიტყვით, სარგებლობა ორმხრივი იქნება.

მარნეულიდან წამოწყებულმა პროვოკაციულმა აქციებმა დიდი არეულობა შეიტანა ბოლნისის რაიონში, — გვითხრა პარტიის ბოლნისის რაკომის პირველმა მდივანმა შუქრი დევნოზაშვილმა. რამდენიმე დღეა ფაბრიკაში შრომითი რიტმი აღდგა. მართალია ჯერ ყველა არ გამოდის სამუშაოდ, მაგრამ უმრავლესობა დადგა დაზგებთან.

— ჩვენი ფაბრიკა დარგში ერთ-ერთი მოწინავე იყო,—ამბობს მისი დირექტორი ავთანდილ კვარაცხელია,—მოცდენის გამო კი 150 ათასი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი და თეთრეული დავაკელით ქვეყანას. ამასთანავე ფაბრიკა სამეურნეო ანგარიშზეა, როგორც ვიშრომებთ, ისე ავგინაზღაურდება, მუქთად არავინ არაფერს მოგვცემს. საჭიროა როგორმე გამოვასწოროთ მდგომარეობა. კოლექტივს შეგნებული აქვს, თუ რაოდენ რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. ყველა ცდილობს იშრომოს მეტი თავდადებით. მკერავები ახლა ერთნაზვავრ-ორჯერ აჭარბებენ გამომუშავების ნორმებს. ამასთანავე ფაბრიკის მთელი კოლექტივი ვაწარმოებთ მოლაპარაკებას აზერბაიჯანელი ეროვნების მუშებთან, რათა ისინი, მალე დაუბრუნდნენ შობლიურ სანორმოს, მათ აქ არავინ არ ერჩით, როგორც მათ ზოგიერთი ეგმქეზებელი ატყუებთ, ქართველი ხალხი არასდროს არ ეწყინდა. ადამიანურ ურთიერთობის ეროვნებაა მარტივი — ურთიერთობის გამშვების საფუძველზე. ამას მოთხოვენ ადგილობრივი ადმინისტრაციაც. ოცდალი დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მეწვევა. 10 ივლისს უკვე ახალი ჯგუფები შემოემატნენ ფაბრიკას.

საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს განახლების მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობას. განგაშის დღეებში აქ დღეში საშუალოდ 15-20 ტონა კარტოფილს მაინც იღებდნენ და გზავნიდნენ. შარშან კი დღეში ჩვეულებრივად 80-90 ტონას იღებდნენ. ორშაბათს, 10 აპრილს კარტოფილის ამოღების ტემპი მნიშვნელოვნად ამაღლდა, მაგრამ შარშანდელი დონე ჯერ კიდევ შორსაა. მეურნეობის დირექტორმა ზურაბ კოპალიანმა გვითხრა, რომ კარდაკარ დაიარეს თითოეული ოჯახი, ყველა დაარწმუნეს, რომ მათ არავინ ერჩით, საჭიროა იმუშაონ.

ზღვომარეობა თანდათანობით სწორდება დმანისის რაიონშიც, მშრომელები გმობენ მომხდარ აქციას, თვლიან, რომ იგი განხორციელეს ერთმა მუჭა არაკეთილსინდისიერმა ადამიანებმა, რომლებიც ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ ეროვნებათშორის ურთიერთობას. ეს არ მოხდება. ჩვენი ხალხი, მათ შორის ქართველები და აზერბაიჯანელები, კვლავაც ძმურად იცხოვრებენ, — თქვა გომარეთის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის დირექტორმა ვასილ ჭალიძემ.

სადღა აქა-იქ მაინც კვლავ ვრცელდება საწინააღმდეგო ხმები, უსაფუძვლო ჭორები. აზერბაიჯანელებს ამნიშნებენ: ქართველები დიდ ჯგუფებად მოდიან თქვენზე თავდასასხმელადო. ამას სწორედ ექსტრემისტები და ხულიგნები ჩადიან. ზოგი მათგანის შესახებ ცნობილია, რას ვუსვამთ თავზე ხელს, რატომ არ მოვაცილებთ მათ საზოგადოებას? ისე კი ორგანიზაციული ღონისძიებები ტარდება. ადგილებზე ადამიანებთან იმართება დიალოგი, მაგრამ მაინც არიან „ურწმუნო თომები“. ქალაქისა და რაიონების მცხოვრებლებს ეცნობათ აგრეთვე უწესრიგობის წინააღმდეგ მებრძოლი შტაბის ტელეფონების ნომრები და დაუყოვნებლივ შეუძლიათ მიმართონ მათ. თუმცა ყბედები მაინც არ ცხრებიან, ამ ტელეფონებიდანაც ხშირად გაისმის მონაჩაბული, რათა ადამიანებს სიცოცხლე მოუწამლონ.

ერთი საყურადღებო გარემოებაც. მოსახლეობის ნაწილის შიში იმაშიც ჩანს, რომ ნამეტი პროდუქტი ბაზრებში ვერ გაუტანიათ და ჯიშკრებთან აქვთ გამოტანილი. ერთ-ერთ ხანში შესულ გლეხკაცს განგებ შევეკითხეთ, როგორ ჰყიდდა პამიდორს, ატამს. მან გულხსტკივილით გვითხრა: მეწინააღმდეგ ჩემი მრომით მოწეული ჭირნახული ჩემს თვალწინ რომ ფუჭდება, მხოლოდ წაიღეთ და არა მინდა რაო. გული გვატკინა მშრომელი კაცის ამ სიტყვებმა და მყისვე გავიცალეთ იქაურობას. იქნებ დამამზადებელმა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ რამე ღონონ და აღმოაჩინონ მათ დახმარება. მხოლოდ გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს ფეხს ნუ დააჭერენ, როგორც ზოჯერ ხდება ხოლმე და ჩალის ფასად ნუ მოინდომებენ მათ ნაამაგარს.

რეგიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ენერგიული დახმარებით ყველაფერს აკეთებენ, რათა მდგომარეობა მოწესრიგდეს და ამიერიდან მსგავსი რამ აღარ განმეორდეს, ადამიანებმა იცხოვრონ და იშრომონ მშვიდად, კეთილნაყოფიერად.

დავით ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

აღვადგინოთ ისტორიული ჭეშმარიტება

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით შეიქმნა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისია. შედგა კომისიის რამდენიმე სხდომა. დაისახა მომავალი მუშაობის გეგმა, გამოიკვეთა საკვლევი პრობლემები და საძიებო სამუშაოთა კონკრეტული ობიექტები.

საინფორმის კორესპონდენტის თხოვნით კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი აპაკიძე ხუბულაძე გვესაუბრება ამ კომისიის მიზანდასახულობასა და მის მიერ გათვალისწინებულ სამუშაოთა ხასიათზე.

— 1918 წლის 26 მაისს აქტით საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა, რომელიც მან დაკარგა 1801 წელს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის 12 სექტემბრის მანიფესტით. ეს მანიფესტი იუწყებოდა, რომ „არა ძალათა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა საზღვართა გაფართოებისათვის, ისედაც მსოფლიოში უდიდესი იმპერიისა ეიღებთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს, — მხოლოდ ღირსება, პატიოსნება და ადამიანობა გვიკარნახებს ჩვენ საღმრთო მოვალეობას, რათა ყური მიეპაყროთ ტანჯულთა ვედრებას და მათი გლოვის გასაქრავებლად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელსაც შეეძლება განამტკიცოს მართლმსაჯულება, უზრუნველყოს პირადი და ქონებრივი უშიშრობა და პიროვნების კანონისმიერი დაცვა“. რუსეთის მონარქის ამ პირმოთნეული განცხადების უკან იმალებოდა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების უგულებელყოფა და საქართველოს სრული ანექსია, რაც XIX საუკუნის პირველ ათწლეულში განხორციელდა.

ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია ცარიზმის კოლონიურ უღელს. იგი შეუნელებლად იბრძოდა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისათვის. 1918 წლის 26 მაისის აქტმა გამარჯვებით დაგვირგვინა ეს ბრძოლა.

მეტად მტკივნეული და ხანგრძლივი აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის სტატუსის საერთაშორისო აღიარების პროცესი. დრო იყო მეტად რთული და არახელსაყრელი: 1918 წელი პირველი მსოფლიო ომის დამამთავრებელი ხანა გახდა, და ამ ომში ჩაბმული ყველა ქვეყანა ცდილობდა პატარა და სუსტ სახელმწიფოთა ხარჯზე მოეპოო ხელი. 1918 წლის 28 მაისის ხელშეკრულებით კაიზერულმა გერმანიამ პირველმა ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს ხელშეკრულება მაინც არ ყოფილა თანასწორუფლებიანი. სხვათა შორის, რუსეთის საბჭოთა მთავრობამ 1918 წელი აგვისტოში არაპირდაპირ

ამხ. ო. ე. ჩერქეზიას გამოსვლა 1989 წლის 23 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

იმის გამო, რომ ჟურნალ „ნოყოე ვრემიაში“ გამოქვეყნდა პუბლიკაცია ზოგიერთი ჩემი მოსაზრების, მეტი რომ არა ვთქვათ, უზუსტო და თავისებური გაგებარტებით, საჭიროდ ვთვლი 1989 წლის 23 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე „თურქმესხებთან“ დაკავშირებით კომისიის შექმნის საკითხზე ჩემი გამოსვლის სრული ტექსტის გამოქვეყნებას.

ოთარ ჩერქეზია.

უწინარეს ყოვლისა, მინდოდა მეთქვა, რომ საქართველოში დიდად განვიცდით ყოველივე იმას, რაც უზბეკეთში მოხდა და ღრმად თანავუგრძნობთ ადამიანებს, რომლებიც უთავშესაფოდ დარჩნენ, დაკარგეს ახლობლები და სახლ-კარი.

„თურქ-მესხების“ საკითხი რთული, მე ვიტყოდი, მტკივნეული. როგორც ცნობილია, 1944 წელს მესხეთში (ეს კი საქართველოს ისეთივე ძველისძველი ისტორიულ-ეკონომიური მხარეა, როგორც ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და ა. შ., უფრო მეტიც, იგი საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და კულტურის აკვანიც არის) მცხოვრები თურქები, ისევე როგორც თურქეთის მოსაზღვრე ამ ზონაში მცხოვრები ყველა სხვა პირნი, ძალით გადაასახლეს უზბეთში და შუა აზიის სხვა რესპუბლიკებში.

ეს ჩვენი ისტორიის სევდიანი ფურცელია, ისეთივე სევდიანი, როგორიც იყო ყირიმელი თათრების, ჩეჩნების, ინგუშებისა და სხვა ხალხთა გასახლებანი.

მაგრამ, ეს მაინც რეალობა გახლავთ.

უკანასკნელ ხანს „თურქ-მესხების“ ძალზე ბევრი ოჯახი თხოვნით მიმართავს სხვადასხვა ინსტანციას მშობლიურ ადგილებში დაბრუნების თაობაზე, იქ, საიდანაც ისინი გაასახლეს.

ეს გახლავთ ახლანდელი ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონები.

ამ მოქალაქეთა პირველმა ჯგუფებმა ძირითადად 1982 წლიდან იწყეს ნებაყოფლობით, ორგანიზებულად მუდმივ საცხოვრებლად ჩასახლება რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, სადაც კი ამის შესაძლებლობა იყო.

სულ რესპუბლიკაში დასახლდა 380 ოჯახი, რომელთაგან დღესდღეობით დამკვიდრდა 230. მათ ცხოვრების, მუშაობისა და სწავლის ყველა საჭირო პირობას უქმნიდნენ.

მაგრამ ჩემი მხრივ სწორი არ იქნებოდა არ აღმენიშნა პრეზიდიუმზე (მიუხედავად უმძიმესი მდგომარეობისა, რომელშიც დღეს „თურქ-მესხები“ აღმოჩნდნენ), რომ საქართველოში ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის, მათ შორის „თურქ-მესხების“, მასობრივი ჩასახლება **აბსოლუტურად შეუძლებელია** მთელი რიგი მიზეზების გამო.

გთხოვთ მომიტევოთ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსკურსის გამო. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი აუცილებელია.

საქმე ის არის, რომ საქართველოში დასახლების მსურველნი რთულ, არაერთგვაროვან ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ: თურქები, ქურთები, რომელთა წინაპრები XVII—XVIII საუკუნეებში, თურქეთის მიერ მესხეთ-ჯავახეთის (სამხრეთ საქართველოს) დაპყრობის დროს გადმოსახლდნენ აქ, და მაჰმადიანი ქართველები. მათი ადათ-წესები, ტრადიციები, ცხოვრების წესი, განპირობებული რელიგიური ერთიანობით, მკვეთრად განსხვავდება დღევანდელი მესხეთის მოსახლეობის ადათ-წესების, ტრადიციებისა და ცხოვრების წესისაგან.

ამ მოსახლეობის 2/3-ს კი სომხები შეადგენენ, ხოლო 1/3-ს რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან ჩამოსახლებული ქართველები და სხვანი.

ყოველივე ეს კი მათ ერთად ცხოვრებას უკიდურესად რთულს, შეუძლებელსაც კი ხდის, განსაკუთრებით მთიანი ყარაბაღის მოვლენათა ფონზე.

ამ განწყობილების გამომხატველი იყო რეგიონში ამ დღეებში გამართული როგორც ქართველი, ასევე სომეხი მოსახლეობის მიტინგების ტალღა.

შემდეგ. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ სტიქიურ უბედურებათა — შარშანწინ მოხდარი ზვავებისა და წყალდიდობების, წელს — მთიან აჭარაში მეწყერების შედეგად, ათიათასობით ოჯახი სვანეთიდან და აჭარიდან, რომლებმაც დაკარგეს სახლ-კარი, მიწა, ახლა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში სახლდება.

ეს პროცესი მკირემიწიანობის პირობებში, მიუხედავად საკავშირო მთავრობის დიდი დახმარებისა, ძნელად მიმდინარეობს (საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე 0,15 ჰექტარი მიწა მოდის, რაც სსრ კავშირში ყველაზე ცუდი მაჩვენებელია).

ამრიგად, ბუნებრივია, რომ ამ პროცესის კიდევ უფრო გართულება დღეს სრულიად შეუწყნარებელია.

და ბოლოს, თბილისში 9 აპრილს მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ რესპუბლიკაში პოლიტიკური სიტუაცია, მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება კვლავ დაძაბულია. ასეთ პირობებში ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება, რათა არ მოჰყვეს მას უმძიმესი შედეგები.

მიუხედავად ამისა, როგორც რამდენიმე დღის წინ გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ითქვა, საქართველოს კარი სამშობლოში დაბრუნების მსურველ მესხთა და სხვა ქართველთათვის, რომლებიც შეეგუებიან ადგილობრივ პირობებს, ყოველთვის ღია იქნება.

საჭიროა მხოლოდ საშუალება მიეცეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას განაგრძოს მუშაობა ამ საკითხზე, დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით შემუშაოს საჭირო ღონისძიებანი, თანდათანობით გადაჭრას ეკონომიკური, დემოგრაფიული, აღმზრდელობითი ხასიათის პრობლემათა მთელი კომპლექსი.

ჩვენ მჯერდრო ურთიერთკავშირში ვიმუშავებთ ამ კომისიასთან, და ვფიქრობ, რომ იგი გაიზიარებს ჩვენს აზრს.

უცხოეთი

საქართველო
11 ივლისი

◆ პოლონეთი

ჯ. ბუშის გამოსვლა

ვარშავა. აქ გაიმართა პოლონეთის სეიმისა და სენატის გაერთიანებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი და პოლონეთში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. ბუში.

თავის გამოსვლაში ჯ. ბუშმა აღნიშნა, რომ მსოფლიოში — პოლონეთიდან წყნარ ოკეანემდე — მძლავრი ძვრები და ღრმა ცვლილებები ხდება. ზოგჯერ, როგორც აქ, პოლონეთში, ეს იმედს გვინერგავს, ზოგჯერ კი, როგორც მაგალითად, ჩინეთში, ტკივილს იწვევს, განაცხადა პრეზიდენტმა. მაგრამ ახლა შეიქმნა რეალური შესაძლებლობა ერთობლივი ძალისხმევით ავაშენოთ მომავლის ევროპა, რომელიც ღია, ერთიანი და თავისუფალი იქნება, ამისათვის საჭიროა, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ახალ ურთიერთობას საფუძვლად დაედოს შეიარაღების გაცილებით დაბალი დონე. აქ კარგი დასაწყისი არსებობს, ორივე მხრივ წამოყენებულია კონსტრუქციული წინადადებები. პრეზიდენტის აზრით, შეიარაღებული ძალების შემცირება პოლიტიკური ცვლილებების პარალელურად უნდა ხდებოდეს. ამიტომ პოლონეთის გადაწყვეტილებას დაიწყოს პოლიტიკური რეფორმები და უნგრეთის ნაბიჯებს ამავე მიმართულებით უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, სცილდება მათს ფარგლებს.

პოლონეთი და უნგრეთი გზაჯვარედინზე აღმოჩნდნენ, განაგრძობდა ორატორი. თითოეული მათგანი რეფორმების გზას დაადგა იოლი წარმატების რიგი გარანტიების უქონლად. ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ ეკონომიკური რეფორმების განხორციელება და ეკონომიკის აღდგენა უმსხვერპლოდ შეუძლებელია, პრეზიდენტი დათანხმდა „დაეხმაროს პოლონეთს პერიოდში, როცა იგი თავის თავს ეხმარება“. მის მიერ ჩამოყალიბებული ექვსი პუნქტისაგან შემდგარი ღონისძიებათა გეგმა ითვალისწინებს პირობას, რომ პარიზში დასავლეთის შვიდი უდიდესი ქვეყნის ხელმძღვანელთა მომავალი შეხვედრის მონაწილეებს იგი შესთავაზებს გააძლიერონ კოორდინირებული მოქმედება პოლონეთისა და უნგრეთისათვის დახმარებისა და ტექნიკური ხელშეწყობის სახით, ვიდრე გაუგრძელონ გადასახდელებს დასავლეთ კრედიტორებისათვის პოლონეთის დავალიანების გამო. გათვალისწინებულია აგრეთვე ამერიკის კონგრესში მიიღონ გადაწყვეტილება პოლონეთის კერძო სექტორის გამოცოცხლებისათვის სახსრების გამოყოფის თაობაზე, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს ურჩიონ პოლონეთს მისცენ ეკონომიკურად გამართლებული 325 მილიონი დოლარი სესხი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დასახმარებლად. კიდევ 15 მილიონი დოლარი გამოიყოფა კრაკოვში ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანებისაგან დასაცავად პოლონეთთან ერთობლივი ღონისძიებებისათვის. პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ვარშავაში შეიქმნება ამერიკის კულტურულ-საინფორმაციო ცენტრი და პოლონეთს შესთავაზა ახალოგიური ცენტრი გახსნას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გაიმართა ვ. იარუზელსკის შეხვედრა ჯ. ბუშთან, რომლის დროს განიხილეს ძირითადი საერთაშორისო საკითხები, აგრეთვე ორმხრივი ურთიერთობის პრობლემები. გაიმართა აგრეთვე ჯ. ბუშისა და პოლონეთის მინისტრთა სამეჯოს თავმჯდომარის მ. რაკოვსკის შეხვედრა. ჯ. ბუში გადასწყვეტს შეხვედრა პროფგაერთიანება „სოლიდარობის“ ლიდერს ლეხ ვალენსას.

● ბაზრ

უთანხმოება კოალიციაში

ბონი. რამდენად შეიძლება გაჩრდილოს უთანხმოება მმართველი კოალიციის პარტიებს შორის, რომელიც წარმოიქმნა ბანოვერში „სიღრეზიელ გერმანელთა სათვისტომოს“ ახლახან გამართულ შეკრებაზე ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის თეო ვაიგელის უპასუხისმგებლო განცხადების შედეგად? ახლა ეს საკითხი აფორიაქებს პოლიტიკურ ცხოვრებას რაინის ნაპირებზე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა გააფრთხილა ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარე თავი შეიკავოს ოდერისა და ნაისის აღმოსავლეთით საზღვრების შესახებ თქმის გაზვიადებისაგან. „მთელი სერიოზულობით უნდა გამეცაცხადო, რომ დასავლეთ გერმანია-პოლონეთის ურთიერთობის ჩამოყალიბებისადმი პასუხისმგებლობით მიდგომა, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ ხელშეკრულების ფორმისა და შინაარსის უთუო დაცვა მთავრობაში თანამშრომლის საფუძველი და ღერძია“, — თქვა მან ჟურნალ „ფერენისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ამრიგად, აღნიშნავენ ადგილობრივი მიმომხილველები, გენშერმა კვლავ დაგმო ვაიგელის რევანშისტული პოსტულატები, რომელმაც განაცხადა, ოდერისა და ნაისის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის პრობლემა „გერმანიის საკითხის ნაწილია“ და 1945 წლის ვერმახტის კაპიტულაციის შემდეგ გერმანიის რაიხი არ დაღუპულა.

● ისრაელი

მოსალოდნელია მთავრობის კრიზისი

ლონდონი. ისრაელის შრომის პარტიის ხელმძღვანელმა ბიუროომ მიიღო გადაწყვეტილება ურჩიოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უარი თქვას კოალიციურ მთავრობაში მონაწილეობაზე, რასაც გარდაუვალად მოჰყვება მთავრობის კრიზისი. როგორც რეიტერის საagენტო იუწყება, შრომის პარტიის ლიდერმა, ისრაელის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და ფინანსთა მინისტრმა ჰერუმმა განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა „ლიკუდის“ ბლოკის ხელმძღვანელობის მიერ შესწორებათა მიღება არაბთა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არჩევნების მოწყობის გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც პრემიერმა შამირმა წამოაყენა.

შესწორებანი გამორიცხავენ აღმოსავლეთი იერუსალიმის პალესტინელთა მონაწილეობას არჩევნებში, არჩევნების მოწყობას, ინტიფადის დამთავრებამდე და პალესტინის სახელმწიფოს შექმნას, „თვალისწინებენ დაპყრობილი მიწების კოლონიზაციის გაგრძობას. მაგრამ ამ შესწორებათა მიღებამდე შამირის „მშვიდობიანი გეგმა“ უარყო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ, რომელსაც მიაჩნია, რომ ოკუპაციის პირობებში არჩევნების მოწყობა სხვა არა არის რა, თუ არა პოლიტიკური ფარსი.

● კუბა

განაჩენი ძალაში დარჩა

ჰავანა. როგორც პრესა ლატინას საagენტო იუწყება, კუბის სახელმწიფო სიმაგრეში — უკანასკნელმა ინსტანციამ, სადაც შეიქნოთ აპელირება განსახილველს, უარყო შეწყალების არზა და დაუმტკიცა სიკვდილით დასჯის განაჩენი რეაქციული შეიარაღებული ძალების და შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხ ყოფილ ოფიცერს — ყოფილ დივიზიის გენერალს არნალდო ოჩოა სანჩესს, კუბის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლკოვნიკს ანტონიო დე ლა მუარიას და მათს უახლოეს თანამშემწეებს — ხორხე მარტინეს ვალდესს და ამადო პადრონ ტრუხილოს. კუბის სახელმწიფო საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანას.

გასულ კვირას სპეციალურმა სამხედრო ტრიბუნალმა მათ სიკვდილი მიუსაჯა ნარკოტიკების კონტრაბანდისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი სხვა მძიმე დანაშაულობებისათვის.

ფოტოფაქტი

◎ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის „გრინპისის“ აქტივისტებმა პროტესტი გამოთქვეს დასავლეთ გერმანიის ქალაქ კილის ნავსადგურში ამერიკული სახაზო გემის „აიოვას“ შესვლის წინააღმდეგ. გემთან ნავებით მიახლოებულმა დემონსტრანტებმა გაშალეს ტრანსპარანტი წარწერით „ფრთხილად, ბომალდზე ატომური ბომბებია!“ (სურათზე).

აპ-საქდესის ფოტო.

სამლესაო ანუ საქართველოს ღია ჭრილობა

ეკითხველო, ამ წერილში მხოლოდ იმას გიამბობ, თუ სად, როდის და როგორ გავიგე ანინდელი მესხების გულისსადები უნინდელი მესხების შესახებ, გიამბობ, რა ფიქრები აღმძრა ნანახმა, გაგონილმა და განცდილმა. საკითხის ისტორიაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან ამის შესახებ უკვე საკმაოდ ითქვა გაზეთ „კომუნისტის“ ამასწინანდელ ფრიად საყურადღებო პუბლიკაციებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ისტორიის წყაროების კომისია კარგა ხანია, რაც გამაჟღერდ სამეცნიერო სესიებს მართავს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში. ზოგჯერ ამ სესიებს საკავშირო ჰქვია და მაშინ, ბუნებრივია, მას მუშაობაში მოკავშირე რესპუბლიკათა მეცნიერებიც მონაწილეობენ. ჩვენგან, როგორც წესი, ამ სესიებზე მოხსენებებით გამოდიან, ძირითადად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა და გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტების მეცნიერი მუშაკები. და უნდა ითქვას, რომ ყველგან — ქუთაისსა თუ ბათუმში, თელავსა თუ სოხუმში, ზუგდიდსა თუ გორში, უკლებლივ ყველგან, სადაც ამ კომისიის სესიები ჩატარებულა, ადგილობრივი მოსახლეობა (სწორედ რომ მოსახლეობა და არა მარტო სპეციალისტები!) დიდსა და განსაკუთრებით გულწრფელ ინტერესს ავლენდა მის მიმართ. წლევანდელი სულიერშემძვრელი გაზაფხულის შემდეგ, აგერ ახლახანს, ივნისის შუა რიცხვებში საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის სესია (ამჯერად რესპუბლიკური) მესხეთის, ადექი და ჩაი, ჩადი და ნახე, ნახე და მიეცი-ყვარულე, მიეფერე, მიეალერსე, კაცური გულის სითბოთი გაათბე და ეთაყვანე, მოკლედ, პოეტის სიტყვით რომ გითხრა — მიესაჭირეველო! მე შენ ვეტყვი და სანახავი და საოცარი დაიღეგი მესხეთში! არა მგონია ქართველმა კაცმა აწყურის ციხისა და აწყურის ღვთისმშობლის უზარმაზარი (დიახ, უზარმაზარი!) ტაძრის ნანგრევები ნახოს და სისხლმა არ უყივლოს!... ახლა ახალციხე? ერთ დროს მთელი სამცხის ანუ მესხეთის ანუ აწინდელი საქართველოს ნახევარი მიწა-წყლისა და მოსახლეობის ბატონ-პატრონია, ზეიად დიდებულთ ჯაყელ-ციხისჯვარელთა სატახტო ქალაქი! ახლა საფარა! ზარზმა! ვარძია!... ეეჰ, ძალიან დავშორდი ჩვენი სესიის მდინარებას! თუმცა დამორება თქვენ აწი ნახეთ... დიახ, ვინ გიცალა სესიის მშვიდად ჩატარება!... მაგრამ სჯობს ვცადო ისევ მოვლენებს მივყვე. სესია 13 ივნისს, დილით იწყებოდა და რადგან ჩვენ წინა დღით ჩავედით ახალციხეში, გეგონა, ის საღამო თავისუფალი გვექნებოდა. მაგრამ სასტუმროში დაბინავებისთანავე ჩვენმა უაღრესად დაღლილობამ მასპინძლებმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მესხეთის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის დირექტორმა ქ-მა ციური ლიფარმა და მისმა მოადგილემ, მთასავით ვაქაცმა, ბ-მა კუკური თორდიამ, მოგვიგიეს ხელი! და აბასთუმანში, ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში გვიკრეს თავი. პირადად მე მეგონა, ალბათ ობსერვატორიის დასათვალიერებლად მივყავართო, მაგრამ... როცა ობსერვატორიის საქმეთ დარბაზი ხალხით სავსე დაგეხვდა, მაშინღა მივხვდი საქმის ვითარებას. ბ-მა ევგენი ხარაძემ ჩვეული სიდარბაისლით მიგვიღო და მოგვმართა, საზოგადოებისათვის მოკლედ მოგვეთხრო საქართველოს ისტორიის საკრებრთო საკითხებზე. დაახლოებით ხუთი-ექვსი საათი გაგრძელდა ეს „მოკლე მოთხრობა“. იყო კამათი, შეკითხვები, ძალიან საყურადღებო და აზრიანი და მაინც ყველაზე მთავარი, რაც ამკამად აღელვებს ხალხს, ეს არის საკუთრივ მესხეთის მკვიდრთა ბედ-იღბალი! დიახ, მესხეთის მკვიდრთა, მათი, ვინაც თავისი შორეული წინაპრების მიწაზე აგერ ახლახანს, სულ ორმოციოდე წლის წინათ დადა ისევ მესხეთის მკვიდრთა ბედ-იღბალზე ბჭობა იყო თაფი და თავი!

თოთხმეტ ივნისს საგანგებოდ მიგვიწვიეს ადიგენში. მდინარე ქვაბლიანის იმპოსი სილამაზის ხეობას ავყევით (გზაც კარგი აღმოჩნდა!) და მანქანებით ავედით პატარა დაბაში, რომელიც აგერ-აგერ შენდება-და მშენდება. დარბაზში, რომელიც ალბათ ჩვეულებრივ სამას-ოთხს კაცს თუ იტევს, არ ვიცი, როგორ დაეტია ორი იმდენი ხალხი. ბევრი მაინც გარეთ დარჩა და იქიდან გვიყურადებდა. ადიგენში ამ შეხვედრამ წარუშლელი მთაბეჭდილება დამიტოვა. წარმოიდგინეთ ხალხით გაჭედილი დარბაზი და პრეზიდიუმში წამომჯდარი ოციოდე მეცნიერი. დარბაზი დაეინებით მოითხოვს მეცნიერთაგან იმას, რაც მეცნიერებას, ვაგლახ, სრულებით არ ხელეწოფება, ლაპარაკობს ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა! ცხარობენ, ყვირიან, გულს ასკდებიან, როგორც ჭეშმარიტი ქართველები. არა, არა და არა! ერთხმად გაიძახიან! არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი საქართველოში შემოშვება! ზუსტად ასე ამბობენ, საერთოდ საქართველოშია და არა თუ კერძოდ მესხეთში! თქვენ (ე. ი. ჩვენ, იქ მიწვეულებმა) არ იცით ეგენი (ე. ი. მესხეთიდან გასახლებულნი) ვინ არიან! მაგათ ქართველობის აღარაფერი სცხიათ!..

ბევრი ამაღელვებელი, გულსაკლავი სიტყვა თქვა იმ დღეს ადიგენში. ჩვენ კი დაბნეულები და გაოგნებულები გულს ვასკდებოდით, მოწოლილ ცრემლებს ვმალავდით და რაღაცას ვლუღლუღებდით. დიახ, ვლუღლუღებდით, რადგან არავითარმა სიტყვამ, შეგონებამ, მოწოდებამ არ გაჭრა. საქმეს ვერც ბატონი შოთა ძიძიგურის თავისთავად საყურადღებო სიტყვამ უშველა. დარბაზი გუგუნებდა! რას მოითხოვდნენ ჩვენგან?

თქვენ პროფესორები ხართ! (გაურჩევლად სამეცნიერო ხარისხისა და წოდებისა ყველას ასე მოგმართავდნენ!) და თქვენი ვალია, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ ომის დროს გასახლებულთა საქართველოში დაბრუნებაო! იმის გაგონებაც კი არ უნდოდათ, რომ მეცნიერებს ამას არავინ გვკითხავს, რომ ხელისუფლება სხვაა, და მეცნიერები სხვა! თქვენ პროფესორები ხართ და არ უნდა შემოუშვათ საქართველოში ქართველი ერის მოსისხლე მტრები! სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ზუსტად ასე სწამთ, ასე სჯერათ აწინდელ მესხებს. დიახ, ასე სწამთ და თავისი მრწამსის დამადასტურებელ უამრავ მაგალითს ასახელებენ. თუ ჩვენი, ახალი მესხების არა გჯერათ, ძირძველ მესხებს — უდელებსა და არალელებს ჰკითხეთო. ჰოდა სოფლების უდისა და არალის მკვიდრი მესხები ისეთ ამბებს ჰყვებიან, რომ თმები ყალყზე დაგიდგებან!

მოკლედ, ახალციხისა და ადიგენის რაიონების ქართველობა სატკივი წინააღმდეგია არა მარტო მესხეთში, არამედ საერთოდ საქართველოში გასახლებულთა დაბრუნებისა (ვამბობენია, რომ ასეთი აზრის არიან მესხეთ-ჯავახეთის სხვა რაიონების ქართველებიც, მაგრამ ამჯერად, მხოლოდ იმის შესახებ მოგახსენებთ, რაშიც პირადად დავრწმუნდი).

ხალხი დაეინებით მოითხოვდა ჩვენგან — ტელევიზია ჩამოიყვანეთ და ჩვენ გავაგებინებთ მთელ საქართველოს სიმართლესო! იმდენ მაქვს, ამ წერილს „ტელევიზიაშიც“ წაიკითხავენ და... ნამდვილად მადლი იქნება მესხეთიდან თუნდაც ერთი სატელევიზიო დადაცემის მოწყობა!

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ერთი გარემოება. მიუხედავად ასეთი ენებათაღელვისა, ყველა გამომსვლელი დიდი გულისწუხილი ლაპარაკობდა თვით განსახლებული მესხების უბედურების გამო. ყველამ კარგად იცის, რომ ეს ადამიანები ერის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას ეზიდებიან. ეს ადამიანები ერის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას ეზიდებიან ეს ადამიანები ერის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას ეზიდებიან

ეს ადამიანები ერის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას ეზიდებიან

ნო! მარტონი ვიყავით, კარგამოკეტლნი, ნათესავსა და მოკეთეს უჭირდა ჩვენთან მოსვლა და აბა თუ ერთმანეთთან არ მივედით, თუ ერთმანეთის ჭირი და ლხინი არ გავიზიარეთ, მაშინ რაღა ქართველები ვართო.

ახლა კი, ახლა, როცა გაგეხარდება, ქართველო კაცო, როცა მოგენახატება, ჩვენი მრავალტანჯული მამულის ჭეშმარიტი აკვანი— ზღაპრული მესხეთი, ადექი და ჩაი, ჩადი და ნახე, ნახე და მიეცი-ყვარულე, მიეფერე, მიეალერსე, კაცური გულის სითბოთი გაათბე და ეთაყვანე, მოკლედ, პოეტის სიტყვით რომ გითხრა — მიესაჭირეველო! მე შენ ვეტყვი და სანახავი და საოცარი დაიღეგი მესხეთში! არა მგონია ქართველმა კაცმა აწყურის ციხისა და აწყურის ღვთისმშობლის უზარმაზარი (დიახ, უზარმაზარი!) ტაძრის ნანგრევები ნახოს და სისხლმა არ უყივლოს!... ახლა ახალციხე? ერთ დროს მთელი სამცხის ანუ მესხეთის ანუ აწინდელი საქართველოს ნახევარი მიწა-წყლისა და მოსახლეობის ბატონ-პატრონია, ზეიად დიდებულთ ჯაყელ-ციხისჯვარელთა სატახტო ქალაქი! ახლა საფარა! ზარზმა! ვარძია!... ეეჰ, ძალიან დავშორდი ჩვენი სესიის მდინარებას! თუმცა დამორება თქვენ აწი ნახეთ... დიახ, ვინ გიცალა სესიის მშვიდად ჩატარება!... მაგრამ სჯობს ვცადო ისევ მოვლენებს მივყვე. სესია 13 ივნისს, დილით იწყებოდა და რადგან ჩვენ წინა დღით ჩავედით ახალციხეში, გეგონა, ის საღამო თავისუფალი გვექნებოდა. მაგრამ სასტუმროში დაბინავებისთანავე ჩვენმა უაღრესად დაღლილობამ მასპინძლებმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მესხეთის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის ფონდების მცველ-მეგობარმა ბ-მა ალეკო ბაბაევმა, ბ-მა ალეკო ბაბაევმა, ბ-მა ალეკო ბაბაევმა, ბ-მა ალეკო ბაბაევმა

ორშაბათს, 10 ივლისს...

პრესასა და ტელევიზიაში უკვე იყო ცნობა იმის შესახებ, რომ 10 ივლისს ქალაქ თბილისის ზოგიერთ ფაბრიკასა და ქარხანაში გაიფიცა მუშათა და მოსამსახურეთა ერთი ნაწილი. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტები ამახთან დაკავშირებით ესაუბრნენ ამ საწარმოთა ხელმძღვანელებსა და მუშა-მოსამსახურეებს.

პასუხისმგებლობა ერის წინაშე

მაუდ-ქაბშოლი კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ პარტიული კომიტეტის მდივანმა მიხეილ ბატაძემ გვითხრა:

— დილის ცვლა 7 საათზე იწყებს მუშაობას. ყველანი უკლებლივ მოვიდნენ და დაიწყო ჩვეულებრივი სამუშაო დღე. დაახლოებით ათის ნახევარი იქნებოდა, როცა რამდენიმე გარეშე პირი მოვიდა საწარმოში, თქვეს ილია მართლის საზოგადოებიდან ვართო და პირდაპირ საამქროებს მიაშურეს. ჩვენ მივედით მათთან და ვთხოვეთ სამუშაოს დამთავრებამდე მოეცადათ, მაგრამ არ მოგვისმინეს.

— დიდხანს არ გავაცდენთო მუშებს, მოკლე ინფორმაციას მივაწვდითო. შემდეგ დირექტორმა ბაბა თენეიშვილმა მიმართა შეკრებილებს — ყველა მივესალმებით იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ახალგაზრდები აყენებენ, — თქვა მან, ჩვენმა მთავრობამ უკვე გადადგა ნაბიჯები ამ საკითხების მოსაგვარებლად და ამიტომ პროტესტის ასეთი ფორმა აბსოლუტურად მიუღებელია. რადგან ასე თუ გავიფიცეთ, პროდუქცია არ შეეძენინო, ეკონომიურად ისედაც დასუსტებულ რესპუბლიკას უარეს დღეში ჩავაგდებთო.

ასე იყო თუ ისე, მუშების ორმოცდაათმა პროცენტმა მიატოვა სამსახური და სახლებში წავიდა.

მეორე ცვლამ, რომელიც ოთხის ნახევარზე იწყებს მუშაობას, „გამართულად და ნორმალურად იმუშავა.

პირველ რიგში აუცილებლად მომაჩნია ჩვენ სწორი და სრულყოფილი ინფორმაცია გვქონდეს რესპუბლიკაში მიმდინარე ამბებზე. აი, სწორედ მაშინ იქნება შესაძლებელი სრულყოფილი დიალოგის გამართვა. პარტიული მუშაკები, სხვადასხვა რანგისა და დონის ხელმძღვანელები, რეგულარულად უნდა გამოდიოდნენ ტელევიზიით, გაზეთის ფურცლებზე, უშუალოდ საწარმოებში და თავიანთ პოზიციას გამოხატავდნენ ყოველი მოვლენის მიმართ. ახლა კი ვალის მოხდას ჰგავს ხოლმე ზოგიერთი პარტიული მუშაკის გამოსვლა ტელევიზიით სწორედ იმ დროს, როცა მიტინგი უკვე მიმდინარეობს.

— აქვე დავძენ, უპირველეს ყოვლისა პიროვნებებს, რომლებიც ხალხს მოუწოდებენ სუვერენულ საქართველოს შექმნისაკენ, უნდა ჰქონდეთ არა მარტო უდიდესი ინტელექტი, არამედ უდიდესი სიდინჯეც, პოლიტიკური სიბრძნეც და სტატეგიული აზროვნების უნარიც, ეს კი მოვლენათა განვითარებისა და შედეგების წინასწარი განჭვრეტის საშუალებას იძლევა. ამავე დროს ეს ადამიანები ერის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ და უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ზნეობრივი არსებანიც.

სამწუხაროდ, ხშირად ასე არ

რატომ შეფერხდა ტრანსპორტის მოძრაობა?

10 ივლისს დილით, თბილისის ზოგიერთ რაიონში საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდა, აქა-იქ კი საერთოდ პარალიზებული აღმოჩნდა. რატომ დაირღვა მოძრაობა, რატომ გაიფიცა საქალაქო ტრანსპორტი? — ვკითხეთ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების სამმართველოს უფროსის მოადგილეს ბორის სიჭინავას და სამმართველოს მოძრაობის და კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსს ნოდარ კორძაიას.

— საქალაქო ტრანსპორტის მუშაკები არ გაფიცულან, გვიპასუხეს მათ, — ეგ კია, რომ დილით ჩვენი გაერთიანების ზოგიერთი საწარმოდან ტრანსპორტი 30-40 წუთის დაგვიანებით გავიდა მარშრუტებზე — იქ მოქალაქეთა ჯგუფები მივიდა და ტრანსპორტის გაფიცვა მოითხოვა, ხაზებზე გა-

საერთო მოთხოვნები

თბილისის გამთიშველების ქარხნის „შუშა-მოსამსახურეთა დიდმა ნაწილმა 10 ივლისს გაფიცვა გამოაცხადა. მათი საერთო მოთხოვნა იყო ქვემო ქართლის რაიონებში ადგილობრივი ეროვნული შემადგენლობის შეცვლა, მოსახლეობისაგან ცეცხლმსროლელი იარაღის ამოღება.

სიღარიბით შორს ვერ წავალთ

თბილისის, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში“ რამდენიმე ქარხანა და კვლევითი ინსტიტუტი შედის. 10 ივლისს ყველანი სამუშაო უბანზე იყო დასაქმებული, გარდა ამ გაერთიანებაში შემავალი მმართველგამომთვლელი მანქანების ქარხნის ზოგიერთი მუშაკისა.

კერძოდ, დილის 10 საათზე ქარხნის ეზოში გამოვიდა და თავიანთ სამუშაო ობიექტი მიატოვა 150-მდე თანამშრომელმა. მათ შორის უმეტესობა ქალები იყვნენ. შიდასაქარხნო პრობლემებზე აქ საუბარი არ ჰქონიათ, როგ

დრომ ვერ წაშალა

● გარდაქმნამ, რომელიც ჩვენში ხორციელდება, მრავალი პოზიტიური ძვრა გამოიწვია. მარტო ის რად ღირს, რომ სამშობლოს კელავ უბრუნდება იმ შვილთა სახელები, რომლებსაც ნებსით თუ უნებლიეთ, უცხოეთში მოუნიათ ცხოვრება და მოღვაწეობა, თუმცა მათ იქაც არ დავიწყნიათ მამული და მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება, შესაძლებლობა საკუთარი ქვეყნის, ერის კეთილდღეობას შეალიეს.

და აი, მრავალი წლის მანძილზე მივიწყებულმა სახელებმა ახალი ძალა და სხივი შეიძინეს, რაც მთავარია, მათი ღვაწლი მთელი სიგრძე-სიგანით აღსდგა მთამომავლობისთვის. ახლა მთავარი ისაა, შუა გზაზე არ შევჩერდეთ და ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული საქმე.

ქალაქი დიდ საშურ საქმეს აკეთებს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გურამ შარაძე. ამას წინათ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა მისი ორი წერილი თავის დროს საკმაოდ ცნობილი ექიმის ვახტანგ ღამბაშიძის მოღვაწეობის შესახებ.

ბედმა მარგუნა, ახლო ურთიერთობა მქონოდა საქართველოში ცნობილი ჟურნალის „მწყემსის“ რედაქტორის დავით ღამბაშიძის მემკვიდრეებთან, ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, ვალდებულადაც ვთვლი გავიხსენო ზოგიერთი რამ ამ მართლაც შინაარსიან, სანტტერესო ოჯახზე, რამდენიმე ცნობა მივაწოდო მკითხველებს.

დავით ღამბაშიძის ოჯახი XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ტრადიციების მქონე ფესვმაგარ ფუძეს წარმოადგენდა და ცხობილი იყო არა მხოლოდ მაშინდელი ქუთაისის გუბერნიაში, არამედ მთელს საქართველოში. თვით ილია დიდ პატივს სცემდა ამ ოჯახის თავკაცს. გამოგონია, „ბანკობიადას“ დროს ერთ-ერთ სხდომაზე შესული დავით ღამბაშიძისათვის ილიას „თავისი სკამი. დაუთმიაო.

დავითის მეუღლე ოლია, ხევის ყაზბეგთან შთამომავალი ყოფილა, რომლის დედაც, ჩოფიკაშვილის ქალი, ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი ცოლად გაჰყოლია სტეფანწმინდაში მდგარი რუსის ჯარის ოფიცერს ატროპეევს. ეს ნახევრად რუსი ქალი გაიხოვების შემდეგ ისე გაქართველებულა, რომ მის ოჯახში ქართული ენის კულტი გამეფებულა. მახსოვს, ღამბაშიძეების ოჯახში „სტოლსა“ და „სტაქანს“ კი არა, ლამპარსაც არავინ იტყოდა და მას სასინათლეს ეძახდნენ.

„მწყემსის“ რედაქტორს შესანიშნავი კარ-მიდამო ჰქონდა ზესტაფონში, ედგა ორსართულიანი, მოზრდილი სახლი, სადაც მოწყობილი ჰქონდა სტამბა და რედაქცია. სამწუხაროა, რომ იგი ამ სამოიდე წლის წინ დაანგრიეს და მის ადგილს მაღლივი შენობა წამოეშენა. უპრიანი ის იქნებოდა, სახლი შეგვენარჩუნებინა, როგორც მუზეუმი, მით უფრო, აქ ხომ მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი ადამიანები — მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები იყოფდნენ თავს. ამ სახლის ერთ-ერთ ოთახს აკაკის სახელი ერქვა. ერის მგზნებარ სწორედ ამ ოთახში ბინადრობდა ღამბაშიძეებთან სტუმრობისას. ამავე სახლში დაიბადა და აღიზარდა დავითის შვილიშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა ღამბაშიძე.

დავითს ოთხი ვაჟი ჰყავდა — ვახტანგი, ქსენოფონტე, დავითი, და მიხეილი.

ვახტანგი, როგორც გურამ შარაძის ვრცელი წერილიდან შევიტყვეთ, თბილისში ცხოვრობდა; ქსენოფონტე და მიხეილი — ზესტაფონში, დავითი კი უკიდურესი სოციალისტი, კომუნისტი, თბილისის კომიტეტის მიერ ბათუმს იყო გამწესებული სამუშაოდ. პოლიტიკური მოღვაწეობის გამო დაატუსაღეს, მაგრამ მამამ გამოიხსნა და ინგლისში გაგზავნა სასწავლებლად. ემიგრაციაში დავითმა იცვალა მრწამსი და უკიდურესი სოციალისტიდან უკიდურეს რეაქციონერ კომერსანტად იქცა. ბოლოს იგი დამოუკიდებელი საქართველოს ელჩად მუშაობდა ინგლისშივე და სწორედ მისი ეგიდით ჩამოვიდა საქართველოში 1919 წელს. აქ წყდება უმცროსი დავით ღამბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძაფი. მის შესახებ აღარაფერია ცნობილი, უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

მწერალი ნიკოლო მიწიშვილი იგონებს, როცა ლონდონიდან 1919 წელს ჩამოვიდა დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი დავით ღამბაშიძე, იგი ფაქვნდა და ადიკაებდა მენშევიკებსო.

„მწყემსის“ რედაქტორს, პირადად მინახავს, შესანიშნავი არქივი ჰქონდა, სამწუხაროა, რომ იგიც დაიკარგა ამ ავადსახსენებელ ოცდაათიან წლებში მისი შვილიშვილის (ქსენოფონტეს უფროსი ვაჟის ინჟინერ ბიძინა ღამბაშიძის) დაპატიმრების დროს.

ალია, კი, მსურს, მკითხველებს შევთავაზო ვახტანგ ღამბაშიძის საოჯახო სურათი. იგი გადაღებულია პარიზში, ვახტანგის ქალიშვილის ეორეტესა და ჩვენი საამაყო გიორგი ნიკოლაძის ქორწინების დღეს.

როგორც ცნობილია, გიორგი ნიკოლაძე 20-იანი წლების მიწურულს სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა საფრანგეთში, სადაც შეხვდა თავის სიყრმისდროინდელ სიყვარულს და იქორწინა კიდეც.

ანტონ ქელენჯერიძე.

სურათზე: პირველ რიგში მარცხნიდან, ვახტანგის ქალიშვილი, მხატვარი სუნანა, საფრანგეთის ავიაციის მამაცი მფრინავის თამაძის მეუღლე, თვით ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე და მისი მეუღლე ვანდა — ახლადდაარსებული თბილისის უნივერსიტეტის ინგლისური ენის პირველი მასწავლებელი; დგანან — გ. ნიკოლაძე, მისი მეუღლე ეორეტა, მისი ძმა გივი, ბოლოს ვახტანგის უფროსი ქალიშვილი მედეა — თბილისის უნივერსიტეტის რიგით პირველი სტუდენტი, ემიგრანტ შოთა ნიკოლაძის მეუღლე.

● მინაწერი: ვახტანგ ღამბაშიძესაც მდიდარი არქივი დაუტოვებია. იგი, მის შვილიშვილთან, ექიმ რევაზ შოთას ძე ნიკოლაძესთან ინახება პარიზის მახლობლად. ამბობენ, ვახტანგი ემიგრაციაში მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდაო ლექსიკოლოგიის დარგში. ამიტომ სასურველი იქნებოდა ეს არქივი ღვაწლმოსილი ადამიანის სამშობლოს დაბრუნებოდა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

თურმე სწორედ ამ ნატიფ, ეფემერულ, მა�ოვან გოგონას ველოდით ჩვენ წლების მანძილზე, ველოდით ყველანი, ვისაც ეხოდენ გვიყვარდა და გვიყვარს განუმეორებელი ხაბალეტო ხელოვნება. მუდამ ვეთაყვანებოდით, ამისდა მიუხედავად, თუ როგორ ვეთაყვანებოდა იგი საქართველოში. გვახარებდა ქართული ბალეტის ყველა წარმატება, ბუნს გვწყვეტდა მარცხი, მაგრამ ლალატით არაოდეს არ გვიღალატია მისთვის. ამიტომაც ადვილი ასახსნელია ჩვენი სიხარული, როცა ცხადი შეიქმნა, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს მოევლინა ნორჩი მოცეკვავე, რომლის გამორჩეული მონაცემები იმედს იძლევა, რომ ბალეტ მეშმარიტი ტალანტის, ბალეტის ახალი ვარსკვლავის დაბადების მოწმენი გავხდებით.

ᲘᲛᲔᲓᲘ

ირმა ნიორაძემ ორიოდე წლის წინათ დაამთავრა თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი. ერთი სეზონი ლენინგრადის აკადემიურ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში დაჰყო სტაჟირებაზე, რომლის დასრულებისთანავე კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელგანთქმული თეატრის საბალეტო დასში მიიწვიეს. ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულოც იყო და საპატიოც, მაგრამ ირმამ იცოდა, ახალგაზრდა პროფესიონალი ძალების რაოდენ ნაკლებობას განიცდიდა ქართული ბალეტი. გარდა ამისა, იგი აღიზარდა ნიორაძეების დიდ, მეგობრულ, ერთიანი ინტერესებით გამსჭვალულ ოჯახში (ირმას ხუთი და ჰყავს, რომელთაგან სამმა კონსერვატორია, ორმა კი ქორეოგრაფიული სასწავლებელი დაამთავრა!) და ბუნებრივია, ვერ მოწყდებოდა ასეთ მშობლიურ, თბილ, შეჩვეულ გარემოს, რაც მთავარია, სამშობლოს.

იქნებ, ზოგმა ნაადრევად მიიჩნიოს ჩვენი წინასწარმეტყველება ნორჩი მოცეკვავის მომავლის თაობაზე, მაგრამ კარგად დაკვირდით სცენურ სივრცეს, როდესაც იქ ირმა ნიორაძე იკვეთება: მოხდენილი, დახვეწილი, დაფრძელებული ხაზებით აღქურვილი ბალერინა, მსუბუქი, ჰაეროვანი ნახტომით, მაღალი ფართო ნაბიჯით, კოხტა ტერფით, თანდაყოლილი გრაციითა და საოცრად ნაზი, ოდნავ ნაღვლიანი, მორიდებული ღიმილით.

იგი ძალზე კარგად დაეუფლა კლასიკური ბალეტის რთულ ტექნიკას და მის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს — დუეტურ ცეკვას, რაც ბალეტმასტერთა თანამედროვე ინტერპრეტაციით თითქმის აკრობატულ სირთულეებთან არის შერწყმული. მაგრამ უმთავრესი ნორჩი მოცეკვავის არსენალში ის არის, რომ ყოველი მოძრაობა, ნებისმიერი პლასტიკური ნიუანსი, ეესტი მისი შესრულებით განსაკვირფრებლად ლირიტიკურია. იგი ცეკვას უბრალოდ თავის არსებითს დანიშნულებას — სილამაზის სამსახურს, ვარ ამისა, ასაკის მიუხედავად ბრძენ თავი გაართვა მეტად რთულ ამოცანებს, რომლებიც მის წინაშე წამოჭრა ბალეტმასტერმა. გოგი ალექსიძემ, — სერიოზული, ფილოსოფიური, ასოციაციური ბალეტის სიღრმეებში ჩაწვდომას. სწორედ ამ გოგონაში იპოვნა გ. ალექსიძემ თავისი ნაზრეული, მსოფლმხედველობის შესანიშნავი პლასტიკური განმხორციელებელი.

ამ ერთი სეზონის განმავლობაში ირმა ნიორაძემ თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე იცეკვა მთავარი პარტიები ბალეტებში: „ეიზელი“, „სერენადა“, „მოპენიანა“ და დაგვარწმუნა, რომ მისი ნიჭი განსაკუთრებით კიაფობს ლირიკულ-რომანტიკული ხასიათის ნაწარმოებებში, მაგრამ ტალანტი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ბოლოდდე ამოუცნობია...

ამას წინათ, როდესაც გოგი ალექსიძის მიერ დადგმულ ერთაქტიანი ბალეტების სერიალში მან მთავარი პარტიები შეასრულა (ჯერ მაყურებელს ისინი არ უნახავს — ეს პროგრამა საზღვარგარეთული ფესტივალისათვის მომზადდა), ნათელი გახდა, რომ მოცეკვავის ამპლუა არ არის შემოსაზღვრული გარკვეული ჩარჩოებით. აქ გამოჩნდა, რომ ირმა შესანიშნავად მეტყველებს არა მარტო წმინდა კლასიკურ, არამედ თანამედროვე ქორეოგრაფიულ ენაზეც, ბუნებრივად გრძნობს თავს გროტესკშიც და სტილთა ყველაზე. უცნაურ შეთანხმებებშიც.

ᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲗᲣᲚᲘ

ირმა ნიორაძის მიერ არჩეული გზა იოლი არ არის. საბალეტო ხელოვნება ერთ-ერთი ყველაზე ურთულესია თუნდაც იმით, რომ მოითხოვს სინაზისა და სინატიფის პარადოქსულ შერწყმას ფიზიკურ ძალასთან. მოხდენილობა და გრაცია ხომ ქანცგამწყვეტი წვრთნის შედეგია, მაყურებლის სიყვარული კი იბადება არა მარტო გარეგნული მშვენიერებისა და პროფესიონალიზმის ერთობით, არამედ მდიდარ პიროვნულ თვისებებსაც გულისხმობს და ამიტომაც მაყურებლის მოტყუება ერთობ ძნელია. შეგვიძლია დავიმოწმოთ მარსო, რომელიც ამბობს, რომ „გაცილებით რთულია იცრუო ეესტით, ვიდრე სიტყვით“. ამიტომ, ჩვენი სიხარული და აღტაცება ახალგაზრდა ბალერინას ირმა ნიორაძის შემოქმედებით, ეტყობა, არ არის საფუძველს მოკლებული.

ნელი ᲨᲣᲠᲚᲐᲘᲐ,
ხელოვნებათმცოდნე.

ᲓᲔᲚᲤᲘᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲔᲜᲐᲖᲔ

ბათუმის დელფინარიუმში მეცნიერულ-კვლევითს საქმიანობასთან ერთად დიდი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული. ამდენ მაყურებელზე, რამდენიც დელფინარიუმს ჰყავს, სხვა რომელიმე სანაზაობრივი დაწესებულება ვერც იოცნებებს. 1000-კაციანი ამფითეატრი ყოველთვის სავსეა.

იმ დღეს, წარმოდგენის დაწყებამდე დელფინარიუმში სიჩუმე სუფევდა, დიდ აუზში ზანტად დაცურავდნენ ზღვის გონიერი ცხოველები, პატარა აუზთან კი შეეხვედით აკვარიუმისა და დელფინარიუმის სადემონსტრაციო განყოფილების უფროსს თენგიზ წერეთელს, მწვრთნელთა ჯგუფის უფროსს გიორგი იოსავას, მწვრთნელებს გელა გეჯაძესა და სერგო სულგლობოვს. ისინი ახალგაზრდა დელფინებს აკვირდებოდნენ, რომლებიც გამეტებით ამოიჭრებოდნენ სიღრმიდან და შემდეგ მთელი ტანით ეხეთქებოდნენ ზედაპირს. ეს არ არის უბრალო სიანცე, გამიზნულ მოძრაობას აკეთებენ, კანი ეკაკვებათ და ასეთი დარტყმით შვებას გრძნობენო, აგვიხსნა თენგიზ წერეთელმ.

15 წელია, რაც დელფინარიუმი გაიხსნა. ამ ხნის განმავლობაში ცხოველთა რამდენიმე თაობა შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ დამყოლი და ადვილად მოსათვინიერებელი არიან, ერთი წელი მაინც სჭირდება სანახაობრივად მათ მომზადებას. რამდენიმე წლის წინათ ზღვის გაუუქყიანების გამო ყველა დელფინი დაავადდა და დაიღუპა. ასე რომ, ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდათ. დელფინები ბიჭვინთის ზონაში დაიჭირეს, შემდეგ გაწვრთნეს და „ზღვის მსახიობები“ წარმოდგენისთვის მოამზადეს. არენაზე ჯერჯერობით 5 დელფინის გამოყვანა შეუძლიათ.

სანამ მწვრთნელებთან ვსაუბრობდით, სეანსის დაწყების დროც მოვიდა. ტრიბუნები ახმაურდა თუ არა, დელფინებს გაჯმოცოცხლება დაეტყოთ.



და აი, ატრაქციონიც დაიწყო. გელა გეჯაძე ხიდურზე დადგა და ტაში შემოჰკრა. დელფინებს ჯგუფს ერთი გამოეყო, კუდზე წამოიმართა, პირი დააღო, თითქოს იცინისო და მისალმების ნიშნად მწვრთნელს ფარფლი გაუწოდა. ამას სხვა ნომრებიც მოჰყვა. განსაკუთრებით მიმზიდველია რგოლებში სინქრონული ხტომა. წყლის ზედაპირიდან სამი მეტრის სიმაღლეზე გამობმულ რგოლებში ერთსა და იმავე დროს ხტებიან წყლის სიღრმიდან ამოჭრილი დელფინები, შემდეგ იწყება მწვრთნელთან ერთად ცურვა, რგოლების აკრეფა, ხიდურზე დაწოლა და სხვა. მეტად დატვირთული ნახევარსათიანი პროგრამის მაყურებელი კმაყოფილი ტოვებს ატრაქციონს.

„აზროვნებენ“ თუ არა დელფინები? ამ კითხვაზე მწვრთნელებს პასუხის გაცემა უძნელდებათ, თუმცა რამდენიმე მაგალითი ნათელს ფენს საკითხს. დელფინები ბადის აქეთ-იქით მოათავსეს. ერთ მხარეს მყოფთ თევზი მისცეს. მეორეს — არა. იმათ, რომელთაც თევზი ჰქონდათ, პირით ბადის უჯრედში გაიძვრნენ საკვები და თანამოძმეებს უწილადეს. მეორე მაგალითი, — ორი დელფინი ბადით გამიჯნეს ერთმანეთისაგან, მათ კი ერთად უნდოდათ ყოფნა. დელფინებმა აქაც ნახეს გამოსავალი, ერთი ბადეს დაეწვა, ჩაზნიქა და ამით მეორეს გადახტომა გაუადვილა. შარშან „საქფილმმა“ დელფინარიუმში და ზღვაში გადაიღო დოკუმენტური ფილმი „მეტიჩარა ზღვის ცხოველი“. ზღვაში გადაღების დროს ერთ-ერთმა დელფინმა დრო იხელთა და გაუჩინარდა. მაგრამ, ეტყობა, გაუძნელდა ადამიანებთან განშორება და ისევ დაბრუნდა.

დელფინარიუმი რთული პრობლემების წინაშე დგას. ზღვა, საიდანაც წყალი იტუმბება, ზშირად ჭუჭყიანია. ათასნაირი მინარევები და ნივთობი მოჰყვება თან. გაჭუჭყიანებული წყალი კი დაავადების კერაა. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერებთან ერთად შემუშავდა ისეთი დანადგარის პროექტი, რომელიც ზღვის წყალს მაქსიმალურად გაწმენდს.

დელფინარიუმს არ ჰყოფნის ფართობი და აუზები, რომ დაავადებული ცხოველი განაცალკევონ, ან მოაწყონ ინდივიდუალური წვრთნა. წყლის დაცლისა და აუზის გასუფთავების დროს იძულებული არიან დელფინები აბაზანებში მოათავსონ, მთა კი იქ მოძრაობა უჭირთ.

დაგეგმილია, დელფინარიუმი გამოეყოს სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს და იჯარაზე გადავიდეს. რა დასამალია, მწვრთნელებს დაბალი ანაზღაურება აქვთ; მატერიალური მხარე კი მცირე როლს როდი ასრულებს. დელფინარიუმისათვის ახალი ასპარეზი ჯადოიშლება. განზრახული აქვთ 8 დელფინი კიდევ დაიჭიროს და გაწვრთნან. მიიღეს მიწვევა ისრაელიდან. დელფინების ატრაქციონით დაინტერესდნენ თურქები.

ვიდრე ხიდურთან ვსაუბრობდით, ჩვენი ყურადღება რომ მეპყროთ, დელფინები სხვადასხვა ნომრებს ასრულებდნენ, სინქრონულად ხტებოდნენ, თოკზე გამაკიდებულ ბუოთს ათამაშებდნენ, მწვრთნელებს იწვევდნენ, გვეთამაშეთო...

მიხეილ გოგრეულაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

• • •

სურათებზე: ატრაქციონი წყალზე.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

ᲣᲮᲐᲛᲔᲓᲚᲘᲐᲜᲘ გამოდგა ორშაბათი საქართველოს სპორტული დელეგაციისათვის. ორი ოქროს, ორი — ვერცხლისა და 4 — ბრინჯაოს მედალი — ასეთია ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა იმდღევანდელი ნადავლი.

ვინიცაში ახალგაზრდობის IV საკავშირო სპორტული ასპარეზობის ჩემპიონი გახდა აკრობატ ბაბუკა კვარტეტი, რომლის შემადგენლობაში არიან ოსეს თუთბერიძე, ვილი ვართანოვი, აფონი იანოვი და სტანისლავ პეტროვი, ვერცხლის მედალი მოიპოვა ირინა ოვოიანისა და რომან კუხალეიშვილის შერეულმა წყვილმა. წყვილებისავე შეჯიბრებაში „ბრინჯაო“ მოიპოვეს თამარ ბერეზაშვილმა და თინა ვარდიძემ, იგივე ჯილდო დაისაკუთრა სამეულმა — თამილ და მანანა მორბედაძეების და ნანა პატარაძის შემადგენლობით. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს გუნდი მესამე ადგილზეა, მას უკრაინისა და რსფსრ-ს გუნდები უსწრებენ.

მედლების დაგროვება დაიწყეს კლასიკური სტილის მოჭიდავეებმაც. დონეცკში უმაღლესი ჯილდო მოიპოვა სამტრედიელმა აკაკი ჩაჩუამ (62 კგ), ვერცხლის მედალი დაეუფლა თბილისელი გელა ბაბაშვილი (48 კგ), „ბრინჯაოს“ მფლობელად გახდნენ თბილისელები დავარ კურცხლაია (57 კგ-მდე) და უშანგი ქობულოვი (100 კგ-მდე). ფინლში მონაწილეობას მიიღებს წყალტუბოელი გიორგი კოლუაშვილიც (90 კგ-მდე).

გრძელდება ფეხბურთელთა ტურნირიც. საქართველოს ნაკრებმა მეორე გამარჯვება მოიპოვა — მან დაამარცხა ყირგიზეთის გუნდი — 3:1.

ᲡᲐᲞᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲓᲐ

● ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ. ამერიკის ქალაქ დენვერში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში. აქ დღის მორიგი გმირი მოსკოველი დიმიტრი შევჩენკო გახდა. რაპირებით უკანასკნელ ორთაბრძოლაში მან დაამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი ალექსანდრე კოხი — 5:1. ამ შეხვედრამ გადაწყვიტა გუნდური შეხვედრების ბედიც. საბჭოთა გუნდმა მატჩი მოიგო ინგლისთან 9:7 და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

● ᲕᲔᲜᲔᲖᲣᲔᲚᲐ. სსრკ კავშირის ჩემპიონატის ლიდერი, მოსკოვის „სპარტაკი“ იგებდა მატჩს ხარკოვში, ადგილობრივ „მეტალისტთან“ — 3:1, მაგრამ გამარჯვება ხელიდან გაუსხლტა და მხოლოდ ფრეს დასჯერდა — 3:3.

კვლავ ერთმა გუნდმა გაიტანა 3 ბერთი — „ყალგირისმა“ ანგარიშით 3:1 მოსკოვში დაამარცხა ადგილობრივი „დინამო“. ყალგირისელმა ფეხბურთელებმა პირველ ტაიმი წაგეს — 0:1.

რედაქტორის მოადგილე
მ. ᲨᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲥᲔᲓᲚᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲘᲐ

როგორც ცნობილია, ჩვენს მთასა და ბარში მიმოფანტულია უთვალავი ძეგლი — ეკლესიები, მონასტრები, სასახლეები, ციხე-კოშკები, ჯვარ-ხატები, ნიშები. მარტო ფშავ-ხევსურეთში მათი რიცხვი 500-ს აღემატება. მათგან იშვიათია, რომელსაც აღდგენა, ყურადღება არ სჭირდებოდეს. მაგრამ იმ სტიქიური უბედურების ვითარებაში, უკანასკნელ წლებში რომ დაატყდა თავს რესპუბლიკის რაიონებს, როცა უსახლკაროდ რჩება ასობით ოჯახი, ძნელია საკთახადო რაოდენობის სახელმწიფო სახსრების გამოყოფა ძეგლთა აღდგენისათვის. არ შეიძლება ამ საქმეში მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს შეეჯარდეთ ხელში, აქ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ადგილობრივ მოსახლეობას, შრომით კოლექტივებს, ცალკეულ ადამიანებს. მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის კეთილშობილურ საქმეში ადგილობრივ ენთუზიასტთა მაგალითი რესპუბლიკაში არცოუ იშვიათია. მათგან ერთი პირველთაგანია დუშეთის რაიონის სოფელ ბულაჩაურის საბჭოთა მეურნეობის მუშა ღვთისავარ პატარაშვილი.

ღვთისავარი მთავარანგელოზის ხევისპერია სოფელ ცაბაურთაში, სადაც ამჟამად ერთი კომლიღა ცხოვრობს: ეს სათემო სალოცავი უკანა ფშავში, ზღვის დონიდან თითქმის 3000 მეტრ სიმაღლეზეა.

განსაკუთრებით მძიმე სურათი დახვდა აქ ღ. პატარაშვილს ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა მორიგი დღეობისას დროშიოწნი სალოცავთან მივიდნენ. ქარტეხილს სამრეკლო დაეზგრია, ვეება ზარი ჩამოგდო და, ბედად, იქვე ლოდებში ჩაუვდა, თორემ მისი ატანა არავვის ჭალიდან მთის წვერზე, ალბათ, ძალიან გაძნელებოდა. საზარელთან ერთად სასანთლე, საბეროც მთლიანად დაეშალა მეხოატეხას.

ღვთისავარმა გადაწყვიტა აღიდგინა დანგრეული საკულტო ნაგებობანი. მან კარგად იცოდა, რომ ეს იყო ის სათემო სალოცავი, სადაც, თავის დროზე ჩარგლიდან სამხვეწრო კურატით მოდიოდა ვაჟა-ფშაველა...

სად, რესპუბლიკის რომელ ინსტანციაში არ იარა გულშეფუზებულმა კაცმა, რომ მისთვის ფიციალურად გამოეყოთ ვერტმფრენი, რათა წმინდა მთაზე აეტანა ქვიშა და ცემენტი. დაპირებები ბევრი იყო, მაგრამ ინსტანციებში საარული უშედეგოდ დამთავრდა...

მაშინ ღვთისავარმა გადაწყვიტა სალოცავისათვის ყოველწლიურად შემოწირული ფული კაპიკ-კაპიკ შეეგროვებინა. მას მხარში ამოუდგნენ უკანაფშავის მკვიდრნიც. მარტო ალია ფხოველმა და ლუკა თათარაშვილმა 150-150 მანეთი შეაშველეს.

ღვთისავარმა დიდი წვალებით მოიახერხა ორი ვერტმფრენის დაქირავება და საჭირო საშენი მასალა ცაბაურთის მთავარანგელოზის საბრძანისში იოტანა. გაჟირდა ვერტმფრენის მთის წვერზე დაჯდომა. ნაწილ-ნაწილ შეკრეს ტვირთი და ისე ჩამოუშვეს მიწაზე.

ღვთისავარ პატარაშვილმა ყველაფერი თავის ადგილზე აღადგინა, სასანთლეში დაასვენა სპეციალურად თბილისში გაკეთებული ხატი. საკულტო ნაგებობების აღდგენა-გაყენობაში მას ეხმარებოდნენ სხვადასხვა სოფლიდან მოსული ფშაველები: ოსვალდ მჭედლური, მერაბ კაკაური, ლევან პატარაშვილი, ამირან ბუთაშვილი, დავით ნარიმანაშვილი, ლაზარე მარცვალაშვილი, სოლომონ გოგენელაშვილი და სხვები. ასე აღსდგა ფშავის, შეიძლება ითქვას, ყველაზე მაღალ, ყველაზე მიუდგომელ მთის წვერზე მდებარე ცაბაურთის მთავარანგელოზის სამლოცველო.

— ცაბაურთას ჯერ კიდევ დარჩა ზოგი რამ აღსადგენი, — მიამბობს ღვთისავარ პატარაშვილი, — არც იმათ დავტოვებ უყურადღებოდ, ხატის სახელზე სალარონში 3000 მანეთი მაქვს შენახული. მინდა თხოვნით მივმართო ფშავის ხევის სალოცავების: ლაშარის ჯვარის, თამარის, დამასტეს, კვირიას, იახსრის, კოპალას, მთავარმოწამის და სხვათა საკულტო წესების აღმსრულებლებს, რომ გამოიჩინონ გულმოდგინება და, ამ ჯვარ-ხატებში, ყველა თუ არა, თითო-ოროლა დანგრეული გალავანი, საზარე, საბერო ან ბეღელი მაინც აღადგინონ. ეს დიდი საქმე იქნება.

მთავარანგელოზის ხატი. საკულტო ნაგებობების აღდგენა-გაყენობაში მას ეხმარებოდნენ სხვადასხვა სოფლიდან მოსული ფშაველები: ოსვალდ მჭედლური, მერაბ კაკაური, ლევან პატარაშვილი, ამირან ბუთაშვილი, დავით ნარიმანაშვილი, ლაზარე მარცვალაშვილი, სოლომონ გოგენელაშვილი და სხვები. ასე აღსდგა ფშავის, შეიძლება ითქვას, ყველაზე მაღალ, ყველაზე მიუდგომელ მთის წვერზე მდებარე ცაბაურთის მთავარანგელოზის სამლოცველო.

— ეს ადგილი ჯერ კიდევ დარჩა ზოგი რამ აღსადგენი, — მიამბობს ღვთისავარ პატარაშვილი, — ეს ადგილი ეკლესიებ, ციხე-კოშკებ, ჯვარ-ხატებ, ნიშებ.